გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 იანვარი, 2015 წელი.

№2 (7647)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ქრისტეშობა

ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს — უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა.
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე,
ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა — ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა,
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად,
მეგობარი ველარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი — იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! — კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა, შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს,
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი — უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად.

ზვიად გამსახურდია

7.01.92

ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა, თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებელი ⑤

„კოლხეთის ცისკრის“ ავტორმა მეორე საუკუნეს უკვე ათი წლიწადი ჩამოატეხა

რამაზ საყვარელიძე: მმართველმა გუნდმა დროულად უნდა გააანალიზოს ხარვეზები, რაც ხალხის მხარდაჭერას აკარგვინებს ③

გაყიდული თხის საფასურად ნაყიდი თხა, ④

ფსოუს საზღვართან კილომეტრებზე გადაჭიმული ციტრუსის ბაზარი

„ჯერ საკუთარი შვილები გაუშვან სასაკლაოზე და მერე დაუძახონ სხვას“ ②

პრეზიდენტმა და პრემიერმა სომეხ ხალხს დღესასწაული მიულოცეს

„სომეხთა და ქართველთა ძმობა ათასწლეულებს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ქართველებთან, ამ მიწაზე მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად იღწვით ჩვენი საერთო სამშობლოს კეთილდღეობისა და განვითარებისათვის. აქ დაბადებული მრავალი სომეხი თანამოქალაქე — კულტურისა თუ მეცნიერების სახელოვანი მოღვაწეები საქართველოს ისევე ეამაყება, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი შვილები, — ნათქვამია პრეზიდენტის მისალოცწერილში.

გიორგი მარგველაშვილი სომეხ ხალხს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობას და კეთილდღეობას უსურვებს.

* * *

„გულითადად ვულოცავ ჩვენს მოძმე სომეხ ხალხს შობისა და ნათლისღების დღესასწაულს. მშვიდობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ თითოეულ ოჯახს.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მხარდამხარ ვქმნიდით საკუთარ ისტორიას, ვამყარებდით ურთიერთპატივისცემას, ძმობას, სიყვარულს და მჯერა, სწორედ ამ გზით გავაგრძელებთ თანაცხოვრებას“, — აცხადებს საქართველის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ირაკლი ღარიბაშვილი 8-9 იანვარს ლატვიას ეწვევა

პრემიერ-მინისტრი ლატვიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრას გამართავს.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 9 იანვარს რიგაში თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ევროპის თემატური წლის გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. დისკუსიის ერთ-ერთი პანელი ქვეყნების გრძელვადიან განვითარებაში სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურ როლს შეეხება და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი.

საქართველოს მთავრობის დელეგაციაში ასევე შედის საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვოლსკის განცხადებით ბიძინა ივანიშვილი აპირებს გააგრძელოს მუშაობა „საზოგადოება 2030“-ში და პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს.

როგორც გიორგიმ განაცხადა, ის ამბიციური გეგმები, რომელიც „საზოგადოება 2030“ აქვს არ საჭიროებს ბიძინა ივანიშვილისთვის დამატებითი პოლიტიკური ფუნქციის მინიჭებას.

„თემები, რაზეც საზოგადოებრივი ორგანიზაცია 2030 მუშაობს, საქართველოს განვითარებისთვის საკმაოდ ყურადსაღები და თვალსაჩინოა. ის სექტორი, რაშიც ბიძინა ივანიშვილი აპირებს საქმიანობას, საკმაოდ მნიშვნელოვანია და დამატებით პოლიტიკური ფუნქციის შეძენის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. არსებობს საკმაოდ ამბიციური გეგმა, საკმაოდ გამჭვირვალე, მედიისთვის კარგად ნაცნობ თემებზე, რომელიც არ საჭიროებს დამატებითი პოლიტიკური ფუნქციის შეძენას ბიძინა ივანიშვილისთვის“, — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

ლარის კურსის ნახტომისებური ცვლილებები არ უნდა მოხდეს

ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

„ძალიან ბევრი ფაქტორია, რომელიც გაცვლით კურსზე მოქმედებს — ეს არის როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორები. საგარეო ფაქტორებზე ჩვენი წვდომა ნაკლებია, ეს არის ჩვენს მეზობელ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა, თუნდაც დღევანდელი მდგომარეობა, რაც ევროსა და დოლარს შორის დაფიქსირდა და ა.შ. საშინაო ფაქტორებიდან ეს დამოკიდებულია დოლარისა და ლარის რაოდენობის თანაფარდობაზე. არც საქართველოს ეროვნულ ბანკს და არც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, 2014 წლის განმავლობაში არ გაუზრდია მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა იმდენად, რომ ამას გამოეწვია ლარის გაცვლითი კურსის რყევა. წელს ჩვენ დაგეგმილი გვქონდა 3,9-პროცენტიანი ბიუჯეტის დეფიციტი, თუმცა, იმის გამო, რომ ჩვენ გადავაჭარბეთ ბიუჯეტს, ბიუჯეტის დეფიციტი არის გაცილებით ნაკლები. მომავალი წელი ჩვენ უკვე სამ პროცენტზე გვაქვს დაგეგმილი“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

ფინანსთა მინისტრმა დასძინა, რომ ხელისუფლება ყველაფერს გაკეთებს, რათა 2015 წელს უფრო მეტად წარმატებული იყოს საქართველოს ეკონომიკა, ვიდრე 2014 წელს იყო.

◎ შეფასება

„ჯერ საკუთარი შვილები გაუშვან სასაკლაოზე და მერე დაუძახონ სხვას “



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი ყოფილი სამხედროების უკრაინაში ბრძოლის ფაქტს ნეგატიურად აფასებს და ამ პოზიციას ცალკეულ სოციოლოგიურ გამოკითხვებშიც ადასტურებს. ამის მიუხედავად, სააკაშვილის მოწოდებისამებრ, ვრცელდება კადრები, როგორ დააბიჯებს ლუგანსკის ოლქში ფრონტის წინა ხაზზე მოხალისეთა მხარდასაჭერად გიორგი ბარამიძე ლეპტოპით ხელში...

ამ ფოტოებს ქართველი ინტერნეტმომხმარებლის შეფასება მოჰყვა: **„საქართველოში გეომათ, ხალხი რომ შეიწირეთ“, „იბრძვის ბიჭი ლეპტოპით, ჯინსებით, ჯავშანჟილეტით“, „აჩვენეთ მსოფლიოს ეს კაცი და ომი აღარ იქნება!“ „აგვისტოს გაგანია სიცხეში გზაზე რომ ეყარნენ, მაშინ სად იყვნენ ეს ვაიგმირები, წითელ ხიდთან ერთმანეთს ასწრებდნენ?!“ „შეიძლება, პარლამენტარი იყო, სხდომებს არ ესწრებოდე, ხელფასს იღებდე, სხვა ქვეყანაში იბრძოდე და შენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული იყოს?“ „სვანეთში მიღებულ გამოცდილებას იყენებს, ალბათ!“**

გიორგი ბარამიძემ ზოგს შალიკო ხვინგიაძე გაახსენა, ზოგს კიდევ — **„აჩიკუდა ჯარში მიდის“**. თუმცა, ცხადია, ასეთი შეფასებები არ ვრცელდება, მათზე ვინც უკრაინაში სიცოცხლე გასწირა.

სამხედრო ექსპერტი **აკია ბარბაქაძე** For.ge-სთან საუბარში იშველიებს ანდაზას — კუდა ხარი თავისთვის არ ვარგოდა და სხვებს ბუზებს უგერიებდაო. ჩვენს ქვეყანას ვერ ვხედავთ და სხვასთან გავრბივართ? ეს ხომ სწორი არ-ჩევანი არ არის და კანონთან მოდის წინააღმდეგობაში, რადგან ყველანაირი მოწოდება უნდა ჯდებოდეს კანონის ფარგლებში და არა ნაციონალების ვიწრო პარტიულ ინტერესებში, რომლებიც ხალხს მოუწოდებენ კონფლიქტში მონაწილეობისთვის.

„რაც მთავარია, ჯერ საკუთარი შვილები გაუშვან სასაკლაოზე და მერე სხვასაც დაუძახონ. ეს ხალხი შეგნებულადაა შეყვანილი შეცდომაში. ჩვენ გვაქვს ჩვენი პრობლემები და ფრონტის ხაზი ჩვენთან გადის, საქართველოში. ჩვენი ყოფილი სამხედროები უკრაინაში გარბიან ორი ფაქტორის — არასწორი პიარის, არასწორი იდეოლოგიურ ვექტორისა და დაუსაქმებლობის გამო, მათ ოჯახის რჩენის პრობლემა აქვთ, მიდიან იქ და ეწირებიან. ისინი არიან უკრაინის გმირები და არა საქართველოს გმირები. ამას ემატება მოწოდების მორალური უფლება, ყოფილ „მთავარსარდალს“, ყოფილ პრეზიდენტს, რომელსაც 2008 წლის ომი აქვს ჩატარებული, მე მგონი, არანაირი მორალური უფლება არა აქვს, ასეთი განცხადებები აკეთოს. მით უმეტეს, ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაითხოვა სააკაშვილის რეჟიმმა სამხედრო სამსახურიდან“, — აცხადებს აკია ბარბაქაძე.

ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი, გენერალ-მაიორი **კობა კობალაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ამჟამად არ მსახურობენ თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში ან ჩვენი შეიარაღებული ძალების რიგებში (ანუ ვინც არის რეზერვში, თადარიგში, ან სულაც, არის დათხოვნილი), თავის არჩევანსა და ქმედებაში თავისუფალი არიან. რაც შეეხება საკითხს, რომ საქართველოს ბედი წყდება უკრაინაში, კობა კობალაძის თქმით, ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია ნათელია, თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ნებისმიერ ხალხს. უკრაინის ჯანდაცვის მინისტრმა კვიტაშვილმაც გამოაქვეყნა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით და მედიკამენტების თვალსაზრისით ერთ-ერთი დონორი სწორედ საქართველოა. ამიტომ უკრაინის მხარდაჭერა არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც იარაღით ირბინო მის ინტერესთა დასაცავად.

„ვინც წასულია და იბრძვის უკრაინის თავისუფლებისთვის, მათ ამ საქმეში წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ჩვენ, თითოეულს, გვაქვს ჩვენი საპასუხისმგებლო ზონა — ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სამშობლო. რეალურად, სააკაშვილის პოზიცია ნებისმიერ გამოხატულებაში არის ის, რომ თვითონ არის სახელმწიფო და თვითონ არის საქართველო. ამიტომ სააკაშვილი სადაც უნდა იყოს, ის არის შარვლიანი გიჟი, მას სურს, რაღაც ხიბლი შესძინოს თავის პიროვნებას. ამიტომ აპელირებს საქართველოს სახელით. მორალური უფლება და ზნეობა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებში ისვენებს. პოზიციურობაზე აქვთ აწყობილი აწმყოც და მომავალიც. ნებისმიერი ქართველი მეომარი, რომელიც სხვადასხვა კონფლიქტში გაიწირება, საქართველოსთვის დანაკარგია. ჩვენი ადამიანური თუ შეიარაღებული რესურსი აქ გვჭირდება. ამიტომ ნუ გავხდებით პროპაგანდის მსხვერპლნი“, — აღნიშნა კობა კობალაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გიორგი თევდორაძე** For.ge-სთან საუბარში არ იზიარებს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში ქართველ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ბრძოლის ფაქტს ჩვენი მოსახლეობა ნეგატიურად აფასებს. მისი თქმით, არა მარტო ქართველი სამხედროები, არამედ ქართული სახელმწიფოც, მისი ხელისუფლების თაოსნობით, უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული და არ უნდა გაემიჯნოს ცივილიზებული სამყაროსა და რუსეთის ჭიდილის პროცესს.

მანანა ნოზაძე

ჟვანიას ცხედარს, მისი გაგუდვის ეჭვის არსებობიდან გამომდინარე, ბალზამირება არ უნდა ჩატარებოდა

ამის შესახებ საქალაქო სასამართლოში ზურაბ ჟვანიას საქმეზე ბრალდებული ექსპერტის ლევან ჩაჩუას პროცესის დასრულების შემდეგ პროკურორმა რევაზ ნადოიმ განაცხადა.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, როდესაც ასეთი ეჭვი არსებობს, ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ ბალზამირების პროცესი არ უნდა ჩატარდეს.

პროკურორმა აღნიშნული კომენტარი გუშინ დაკითხული მოწმის ჩვენების საფუძველზე გააკეთა. კერძოდ, საუბარია დაკითხულ სანიტარზე, რომელმაც ჟვანიას ცხედარს ბალზამირება ჩაუტარა.

„ბრალდებული ჩაჩუა ჩვენებებში ადასტურებდა, რომ ჟვანიას და უსუპოვის გვამების დათვალიერებისას პროცესს მასთან ერთად ესწრებოდნენ სანიტრები. დაიკითხა ერთ-ერთი სანიტარი არჩილ ჭიკაძე, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ არც შესაბამისი განათლება და არც ცოდნა და არც ვალდებულება არ ჰქონდა, დაეთვალიერებინა გვამები და დაეფიქსირებინა საეჭვო უბნები. ასევე მან განაცხადა, რომ არ ჰქონდა უფლება, განესაზღვრა ესა თუ ის უბანი იყო თუ არა დაზიანებული. მან განმარტა, რომ ეს იყო მხოლოდ ბრალდებულ ჩაჩუას მოვალეობა და პრეროგატივა. მოწმემ ისიც განმარტა, რომ მან შეასრულა მხოლოდ ტექნიკური სახის მოქმედებები, კერძოდ, გვამის გაკვეთა, თავის ქალის ტრეპანაცია და გვამის მოწესრიგება, ანუ გაკერვა. სხვა დაზიანებების დათვალიერების განსაზღვრა კი იყო მხოლოდ ექსპერტის მოვალეობა“, — განაცხადა რევაზ ნადოიმ.

მისი თქმით, სხვა ექსპერტებმაც განმარტეს, რომ ჟვანიას შემთხვევაში, როდესაც არსებობდა მოწამვლის ეჭვი, ბალზამირების გაკეთება დაუშვებელი იყო.

„სანიტარმა კი განმარტა, რომ უშუალოდ ლევან ჩაჩუას დავალებით მან ზურაბ ჟვანიას გვამს ჩაუტარა ბალზამირება“, — განაცხადა პროკურორმა რევაზ ნადოიმ.

დაცვის მხარემ კი საპასუხოდ განაცხადა, რომ ბალზამირება გარდაცვლილი ყოფილი პრემიერის ცხედარს მხოლოდ მას შემდეგ ჩაუტარდა, რაც მისი სხეულიდან ნიმუშები იქნა აღებული.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ ლევან ჩაჩუას პროცესზე აქამდე უცნობი ერთ-ერთი დეტალის შესახებ გახდა ცნობილი. კერძოდ, საქალაქო სასამართლოში ჟვანიას საქმეზე ბრალდებული ლევან ჩაჩუას პროცესზე დაცვის მხარე ერთ-ერთი მოწმის, გამომძიებელ კახა ჭუმბაძის დაკითხვისას დაინტერესდა, ნახა თუ არა შემთხვევის ადგილზე ტყავის ჩანთა.

კახა ჭუმბაძე არის გამომძიებელი, რომელიც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე იმ პერიოდში საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. მან შემთხვევის ადგილზე ჩანთის არსებობა დაადასტურა, რის შემდეგაც ბრალდებულ ჩაჩუას ადვოკატმა მას შეკითხვით მიმართა - იყო თუ არა ჩანთა დათვალიერებული და ნახა თუ არა ჩანთაში პარიკი, აღნიშნულზე მოწმემ უპასუხა, რომ ჩანთა დათვალიერების შედეგად ნანახი ჰქონდა. მოწმის ჩვენების მიხედვით, ჩანთა დათვალიერების გარეშე შეიფუთა და, აქედან გამომდინარე, არ ახსოვს, რა იდო ჩანთაში. ამ დეტალზე განმარტებას დაცვის მხარე ამ ეტაპზე არ აკეთებს.

როგორც ადვოკატმა ზურაბ ტაბიძემ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, დაცვის მხარე საკუთარ დასკვნით სიტყვაში განმარტავს აღნიშნული ჩანთის მნიშვნელობას.

რაც შეეხება თავად ლევან ჩაჩუას, მან ამ საკითხზე საუბარი დახურულ სხდომაზე მოითხოვა, თუმცა, მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

„შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან გამომდინარე, მე დავსვი შეკითხვა, ხომ არ ყოფილა ამოღებული შემთხვევის ადგილიდან რაიმე თმა ან წვერი. მოწმემ თქვა, რომ გამორიცხული არ არის და როგორც ახსოვს — კი. დაცვას ამ საკითხზე სხვა კომენტარის გაკეთების უფლება ჯერ არ აქვს. ამას ალბათ მოისმენთ იმ შემთხვევაში, თუ დაესწრებით დასმულ შეკითხვას და ჩვენი დასკვნითი სიტყვის წარმოთქმას“, — განაცხადა ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბრისას პროცესის დასრულების შემდეგ.

აღნიშნული ჩანთის ირგვლივ კომენტარის გაკეთება არც საქმის პროკურორმა ისურვა. როგორც რევაზ ნადოიმ პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, აღნიშნული ჩანთა ამ საქმეს არ ეხება და შესაბამისად იგი ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს.

ლევან ჩაჩუას სასამართლო პროცესი 9 იანვარს 11.00 საათზე განახლდება.

მმართველმა გუნდმა დროულად უნდა გააანალიზოს ხარვეზები, რაც ხალხის მხარდაჭერას აკარგვინებს



საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე

— ბატონო რამაზ, შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ მაინც დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველო 2015 წელს უცნაურად შეხვდა. ვგულისხმობ ახალი წლის დადგომისადმი მიძღვნილ ტელეგადაცემებს. რიყეზე ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ და ფილარმონიაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მხარდამჭერთა მიერ გამართულ ღონისძიებებს. ახალი წლის ღამემ ორი საქართველოს არსებობის განცდა დატოვა. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ახალი წლის ღამეს თუნდაც სატელევიზიო სივრცეში „ორი საქართველოს“ არსებობა, ფილარმონიაში ნაცმოძრაობის პოლიტიკური გზავნილები, რომლებზეც პასუხის გაცემისთვის ხელისუფლებას არც იმ ღამეს და არც შემდეგ არ უფიქრია?

— უპირველეს ყოვლისა, ვისარგებლებ შემთხვევით და საქართველოს ყველა მოქალაქეს ვულოცავ ახალი წლის მობრძანებას, ვუსურვებ, რომ ჯანმრთელობა, სიკეთე და ბედნიერება მიეღოთ თოვლის ბაბუისგან საჩუქრად! ახლა, რაც შეეხება ამ წლის პოლიტიკურ დასაწყისს, რომელიც თქვენმა მახვილმა თვალმა შეამჩნია. მე მგონი, თქვენს მიერ აღნიშნული განსხვავება იმ ზოგადი კანონზომიერების მორიგი გამოხატულებაა, რამაც არაერთხელ იჩინა თავი — ოპონენტები პოლიტიკურად უფრო დამუხტულები არიან, ვიდრე — ხელისუფლება, ხოლო ოპოზიციის რიტორიკაში კონსტრუქციული ელემენტების გაჩენა, კბილების ღრჭიალისთვის თავის დანებება უდაოდ მისასალმებელია, თუ ეს მხოლოდ საახალწლო განწყობილების შედეგი არაა. ამას კი დრო გვიჩვენებს. სიმართლე გითხრათ, 2012-ის არჩევნების შემდეგ სულ ველოდი, რომ ნაცმოძრაობა ჩვეულ აგრესიულ სტილს შეცვლიდა, რადგან ეს სტილი ყველაზე მეტ ზიანს აყენებდა მას. თუ ამ წელს მოხდება ამგვარი ცვლილება, პოლიტიკური კულტურის ოდნავ უფრო მაღალ დონეზე ვიქნებით.

— შესაძლოა, ნაცმოძრაობის მართლაც ახალ ტაქტიკასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა განაცხადა — „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს.“ ეს კი ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას ძნელად წარმოსადგენს ხდის. სააკაშვილი ნაცმოძრაობის ლიდერად რჩება. რთულია იმის თქმა, როგორ განვითარდება პროცესები ნაცმოძრაობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი წლის ღამის გზავნილები იმის ნიშანი ხომ არ შეიძლება იყოს, რომ ნაცმოძრაობას უნდა დარჩეს მეინსტრიმად და ეს ბევრ სფეროში ხელისუფლების არაეფექტურობის გამო გარკვეულწილად გამოსდის კიდეც? კითხვა სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას — რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება, რომ თავად იყოს მეინსტრიმი?

— რა თქმა უნდა, პოლიტიკურ კულტურაში დიპლომატური, არააგრესიული სტილის დამკვიდრება არ ნიშნავს, რომ მხარეებმა უნდა დათმონ პოზიციები. საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა გაგრძელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლების გუნდს საგრძნობლად მოაკლდება მხარდამჭერები. სამართლიანობის აღდგენის მსურველები დაიწყებენ იმ ახალი პოლიტიკური ძალის ძებნას, რომელიც სამართლიანობას დაჰპირდება, რაც ბევრ სიურპრიზს წარმოშობს.

რაც შეეხება პოლიტიკურ მეინსტრიმს, ხელისუფლება, თითქოს არც ცდილობს პოლიტიკური მეინსტრიმის ავტორობას, რადგან არა აქვს მისი შექმნის გამოცდილება. ის პოლიტიკური ტალღაც კი, რომელმაც „ქართული ოცნება“ მოიყვანა ხელისუფლებაში, შექმნა არა იმდენად „ოცნებამ“, რამდენადაც თავად ნაცმოძრაობამ. ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ოცნებამ“ ჩათვალა, რომ საქმის კარგად კეთებაა პოლიტიკა.

პოლიტიკა საქმის კეთებაცაა და — იმ მეინსტრიმის კეთებაც, რომელმაც საქმე ზედაპირზე უნდა ამოიტანოს და ხალხი წაიყოლიოს. ვვარაუდობ, რომ მმართველი გუნდი ახლა აცნობიერებს ამას (სწორედ ნაციონალების წყალობით) და დროთა განმავლობაში თავის თავში იპოვის საჭირო რესურსს. ნაცმოძრაობა „ვარდების რევოლუციისთვის“ საჭირო მეინსტრიმს რამდენიმე წლის განმავლობაში ქმნიდა „რუსთავი-2“-ით და სხვა მედია თუ არასამთავრობო ორგანიზაციით. მან ეს ისწავლა, ახსოვს და იყენებს, თუმცა, ნაკლებ ეფექტურად, რადგან ხალხსაც ახსოვს მისი ყოფნა ხელისუფლებაში.

— დამკვირებელთა უმეტესების აზრით, საქართველოსთვის 2015 წელი საკმაოდ მძიმე იქნება. თქვენი აზრით, რა უმთავრესი გამოწვევების წინაშე იქნება 2015 წელს ხელისუფლება, ნაცმოძრაობა, რომელიც ხელისუფლების ძირითად და ანგარიშგასაწევ ოპონენტად რჩება და დანარჩენი, პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიცია?

— გამოწვევების წინაშე იქნება ქვეყანა, რაც ყველა პარტიას ერთნაირად ეხება. გეთანხმებით, 2015 წელზე ეკონომისტების პროგნოზი მძიმეა. გარდა ამისა, უაღრესად მძიმე სურათი იქმნება ჩრდილოეთით. თუ დასავლეთმა რუსეთს დაუთმო, გათამამებული რუსეთი საქართველოს და უკრაინასაც ახლებურად დაუბრუნდება და სხვა ქვეყნებსაც (მაგალითად, ყაზახეთს) დაადებს თათს.

თუ დასავლეთმა გააგრძელა თავისი სანქციები, ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება რუსეთი დაშლის პირას მიიყვანოს. მთლიანობის შესანარჩუნებელ ჯარსაც ფული უნდა. ამ პირობებში რას მოიმოქმედებს რუსეთი, ძნელი სათქმელია. მისი შესაძლო დაშლაც კატასტროფაა — 146 მილიონი ადამიანის უკონტროლო მასა მთელი მსოფლიოსთვის სახიფათოა. ამდენ რისკს შორის ურისკო გადაწყვეტის მოძებნა რთული იქნება დასავლეთისთვის, უფრო რთული — მისი რეალიზაცია.

მთელი მსოფლიო ელოდება ახალ გამოწვევებს აგრესიული ისლამის მხრიდან, რაც მეტ-ნაკლებად საქართველოსაც უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოს შეიძლება დაუდგეს თავდაცვის ამოცანები და მყარი პარტნიორების მოძებნა ამ მიმართულებით საშურია. ამ პროცესებში შესაძლებელია, ახლებურად დადგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და ამისთვისაც საჭიროა მომზადება. ბუნებრივია, შიდა პოლიტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს მკაფიო და მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება არჩევნების წინ და ა.შ.

— ფაქტია, რომ, თუ პოლიტიკურ ძალთა შორის არ მოიძებნა კონსენსუსი უმნიშვნელოვანეს თემებზე, ქვეყანას გაუჭირდება არა თუ დროის გამოწვევებთან გამკლავება, ქვეყნის შიგნით წონასწორობის შენარჩუნებაც კი, რაც ქვეყნისთვის ასე მნიშვნელოვანია. თქვენი დაკვირვებით, აქვს თუ არა რესურსი „ქართული ოცნების“ მთავრობას, რომ საგარეო თუ საშინაო ფაქტორების გააქტიურების შემთხვევაში შეინარჩუნოს ქვეყანაში წონასწორობა? საგარეო ფაქტორებში რუსეთის მხრიდან ე.წ. „რბილი ძალის“ გააქტიურებას, ხოლო საშინაოში იმ ჯერაც უცნობ ძალებს ვგულისხმობ, ვინც მოინდომებს ქვეყანაში ვითარების მაქსიმალურად დესტაბილიზაციას. ამის მსურველები რომ რეალურად არსებობენ, ფაქტია...

— ყველა პოლიტიკური ძალის, მათ შორის — „ქართული ოცნების“ ძირითადი რესურსი არის ხალხის მხარდაჭერა. არც ისე ბევრი დროა დარჩენილი იმისთვის, რომ მმართველმა გუნდმა გააანალიზოს ის ხარვეზები, რაც ხალხის მხარდაჭერას აკარგვინებს და განახორციელოს საჭირო ცვლილებები. ეს თუ არ მოხდა, ნებისმიერმა ჯგუფმა, გარედან მხარდაჭერილმა თუ შიგნიდან წაქეზებულმა, შეიძლება წაიყოლიოს ხალხი. რაც შეეხება დესტაბილიზაციას, იმდენნაირი გამოვიარეთ, რომ მეეჭვება, ხალხი აჰყვეს იმ პროცესებს, რომლებშიც დესტაბილიზაციის ელემენტს დაინახავს.

— გასული წლის ბოლოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის მიერ რუსეთის მისამართით გაკეთებულმა განცხადებებმა ცხადყო, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთთან მიმართებაში დაბალანსებულ პოლიტიკას იმაზე მეტად ატარებს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. მართალია, ამას მოსკოვისათვის ხელი არ შეუშლია, სოხუმთან გაეფორმებინა ხელშეკრულება, ხოლო — ცხინვალთან გაფორმება დაეგეგმა, რომლითაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსია-ანშლუსი დასრულებულადაც კი შეიძლება გამოცხადდეს. ვითარებაში, როცა პრეზიდენტ პუტინს უკრაინაში რუსეთის მოქმედებების გამო გავლენიანი სამყაროსთან ურთიერთობის პრობლემა აქვს და რუსეთის ეკონომიკა დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით ურთულეს მდგომარეობაშია, თქვენი აზრით, რას შეიძლება ემყარებოდეს მოლოდინი, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის დაახლოება საქართველოსთვის წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს?

— ჩემი აზრით, თქვენი კითხვიდან პასუხიც გამომდინარეობს. ვვარაუდობ, რომ ეკონომიკური სირთულეები რუსეთს ბევრ ისეთ პრობლემას გაუჩენს, რომელიც შეაფერხებს მის აგრესიულ პოლიტიკას. ხშირად, დასუსტებული აგრესორი აგრესიის ხალისს კარგავს. ამ ფონზე მასთან მშვიდობიანობის ძებნა შესაძლებელია, შედეგიანი აღმოჩნდეს. თუმცა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა. რუსეთის მეტად გამწარებაც არ არის გამორიცხული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენთვის ყველაზე ოპტიმალური ჩანს სამშვიდობო პოლიტიკა — იგი მინიმალური დანაკარგების შემცველია.

— ისეთი პირი უჩანს, მოსკოვთან თბილისის ურთიერთობების თემა შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე საკამათო და პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელიც კი. თუ თქვენც ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, სავარაუდოდ, რუსეთის თემის აქტუალიზაცია რა კორექტივებს შეიტანს ქართულ პოლიტიკაში?

— მოსკოვის და თბილისის ურთიერთობაში თბილისს აქვს რთული პოზიცია. ჩვენ მოსკოვი გვჭირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, მაგრამ ეს ურთიერთობის დასამყარებლად არ კმარა. გასარკვევია, თუ რა შეიძლება შევთავაზოთ მოსკოვს ბორჯომის და ღვინის გარდა. ბევრი ფიქრობს, რომ მოსკოვს აღიზიანებს ჩვენი კავშირი დასავლეთთან და მისი დათმობის ხარჯზე მოსკოვის კეთილგანწყობას მოვიპოვებთ. ეს ვერსია ფაქტებს არ ითვალისწინებს.

ჩვენ წინაა ორი მაგალითი — სომხეთი და აფხაზეთი. ორივე მოსკოვის პოლიტიკას ატარებს. მოსკოვი რითი პასუხობს? ისაკუთრებს მათ ქონებას, სუვერენიტეტს, ცდილობს, მოახდინოს ასიმილაცია. რუსეთი ის ქვეყანაა, რომელმაც პუშკინს დააწერინა ზღაპარი ოქროს თევზზე — ამ ქვეყნის წესია, რომ ერთი სურვილის აღსრულების შემდეგ უფრო მეტი ისურვონ, ვიდრე... გატეხილი გობი არ შეაჩერებთ. ამიტომ, ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში მისი სურვილის აღსრულება მადლიერების მოლოდინით გულუბრყვილობაა.

მოსკოვის სურვილები უნდა იცოდე, როგორც მეტოქის „აქილევსის ქუსლი“. დღეს რუსეთის „აქილევსის ქუსლია“ ეკონომიკა, რომელიც ინგრევა მისი აგრესიული იმიჯის გამო. ვფიქრობ, ამ იმიჯის გამოსწორებაში შეიძლება გამოვადგეთ რუსეთს — თუ იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარება, ეს დადებით კორექტივებს შეიტანს მის იმიჯში და შეიძლება, ოდნავ მოდუნდეს დასავლეთის ეკონომიკური მარწუხები. ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ მივცეთ კეთილი საქმის განხორციელების საშუალება, სხვა არაფერი გვაქვს შესათავაზებელი რუსეთისთვის. ხოლო ამ მიმართულებით მცდელობას ახალი პოლიტიკური რესურსები დასჭირდება.

კობა გენდელიანი

◎ ალიანჩალიანი

პარლამენტი იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიციირებული მუხლის გაუქმებას გეგმავს

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ უქმდება, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტირებისას განუცხადა.

მისივე განმარტებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს და იქამდე, ვიდრე ქვეყნის მთავარ კანონში აღნიშნული ჩანაწერია, შესაბამისი ინსტიტუტიც ვერ გაუქმდება.

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის თქმით, საუბარია „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან“ მხოლოდ იმ მუხლის ამოღებაზე, რომელიც მაღალი თანამდებობის პირთა საქმეების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი კანონში 2013 წლის დასაწყისში, ახალი ხელისუფლების, კერძოდ კი, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით ჩაიდო.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მეორე მუხლით განსაზღვრულ „თანამდებობის პირებში“ იგულისხმებიან შემდეგი მაღალჩინოსნები: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, მინისტრი და მისი მოადგილე, სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე, უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილე, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის თავმჯდომარეები, პარლამენტის აპარატის უფროსი, გენერალური აუდიტორი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ეროვნული მარეგულირებელი კომიიის წევრი, ცესკოს თავმჯდომარე, მოადგილე და კომისიის მდივანი, სახელმწიფო რწმუნებული, მისი მოადგილე.

ინტერპრესი

◉ შევითვისოთ პოლიტიკური კულტურა

პოლიტიკური ანტაგონიზმიდან, პოლიტიკურ აგონიზმამდე

საქართველოში განვითარებული მოვლენების განხილვა მიმდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკოსების, ეკონომისტების, ისტორიკოსების, ანალიტიკოსების და სხვა პროფესიების ექსპერტებსა და სპეციალისტებს შორის, არამედ ზოგადად საზოგადოებათმცოდნეებშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ისინი ჩვენს ისტორიაზე სერიოზულ კვლევებსაც ატარებენ.

გერმანელ მეცნიერთა დასკვნით, ქართველები ტემპერამენტიანი ხალხია. ეს არის მათი აზრით, ქართველების ისტორიულად განვითარებული ეთნოფსიქოლოგიური შუქ-ჩრდილები, რაც ხშირად აზარალებს კიდევაც მათ. გერმანელი მეცნიერები ჩვენთან დაკავშირებით იხსენებენ შანტილ მუფის მიერ აღწერილ პოლიტიკური მეტოქის მიმართ დაპირისპირებას, სადაც ერთმანეთისგან ანსხვავებს პოლიტიკურ ანტაგონიზმსა და პოლიტიკურ აგონიზმს. პირველში მუფი გულისხმობს პოლიტიკური მეტოქის მოსისხლე მტრად აღქმას, რომელიც აუცილებლად უნდა განადგურდეს ფიზიკურად. აგონიზმში დაშვებულია მეტოქის არსებობა, ანუ კონკურენცია. პოლიტიკური თამაშის ნორმების გათვალისწინებით, დემოკრატიული გზით. დღის წესრიგში შემოდის ორი ცნება „ჩვენ“ და „თქვენ“, იწყება ჭიდილი – „მართალისა“ და „მცდარის“.

მიუხედავად განმანათლებლობის ეპოქისა და ამ კუთხით უდიდესი პოტენციალისა და განვითარებისა, ქართველმა ერმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა პოლიტიკური ანტაგონიზმიდან პოლიტიკურ აგონიზმამდე მისვლა, ანუ ვერ გაითავისა, რომ არ არის საჭირო პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია და, მით უმეტეს, ფიზიკური ლიკვიდაცია, მიაჩნიათ უცხოელ სპეციალისტებს. ისინი, ამ მოსაზრებების გათვალისწინებით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, ჩვენივე ქმედებებით ანტაგონისტური მოდელის მდგომარეობაში ვართ, რაც შუა საუკუნეობრივ აზროვნებასთან გვაახლოებს.

მკვლევრები იმასაც ამბობენ, რომ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ჯერ კიდევ მყარად არის ფესვებგადგმული მეტოქის აღქმა – ის ცუდია, ჩვენ კი ფრთიანი ანგელოზები ვართ. ქართული პოლიტიკა კი კარგად იცნობს პოლიტიკური მეტოქის დემონიზაციის მრავალგვარ მეთოდს. – ლენინიზმი, სტალინიზმი, სოციალიზმიდან კომუნიზმამდე, ბოლოს კი ზვიადიზმი, შევარდნაძე – მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, მიშა მაგარია, ბიძინა გადაგვარჩენს და ა.შ. ქართულ სინამდვილეში ყოველი მხარე ცდილობს, საკუთარ ლიდერს მესიანისტური თვისებები მიაწეროს.

საზღვარგარეთ, გერმანიის ქალაქ მიუნსტერში მოღვაწე ქართველი – პოლიტიკის მეცნიერებათა ექსპერტი ალექსანდრე აბესაძე საკუთარი კოლეგების მონაცემებზე დაყრდნობით, ცდილობს, გამოიყვანოს ჩვენი ქვეყნის რეალური ცხოვრების პოლიტიკური ფორმულა: **„პოლიტიკურ შეთქმულებებს დამატებული პოლიტიკური სამყაროს მესიანისტური, სქოლასტიკური აღქმა და დამოკიდებული პოლიტიკური კულტურა უტოლდება სახელმწიფო შიზოფრენიას“** – ასკვნის იგი. მისივე აზრით, ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკურმა ოპონენტებმა იზრუნონ წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებაზე, ხელს უშლიან და ებრძვიან ერთმანეთს ამომრჩევლისთვის მიცემული პირობის შეუსრულებლობისათვის.

ასეთ ვითარებას აბესაძე პოლიტიკურ „დარვინიზმს“ უწოდებს. პოლიტიკური დისკუსიების „მცდარი“ და „სწორი“ პოლიტიკური გზების ძიების ნაცვლად, ვღებულობთ ცხარე კამათს „ჩემსა“ და: შენს“ ხელისუფლებებს შორის – თვლის გერმანიაში მოღვაწე პოლიტიკის მეცნიერებათა ექსპერტი განვითარების პოლიტიკის განხრით ალექსანდრე აბესაძე, რომლის შეხედულებებსაც, სრულად იზიარებს ისტორიის მკვლევარი მერაბ ჯინჭარაძე. გადის დრო, ამბობს იგი, ხალხში ღრმად იდგამს ფესვებს პოლიტიკური ნიჰილიზმი, არ მოჩანს განვითარების არანაირი გზა. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ქართველმა ერმა უნდა გაბედოს პოლიტიკური კულტურის შობა და საბოლოოდ შვას რეალური პოლიტიკური ლიდერის ფორმულა, მისი კლასიკური გაგებით – ხელისუფალი უნდა იყოს სრულიად თავისუფალი და პასუხს უნდა აგებდეს თავის ნამოქმედარზე, – ასკვნის ბატონი მერაბი.

ზაზა ბილიხოძე

◉ კაკალ გულში

ნერვიულობანი ფრაზები

● **„სამებაში პატრიარქის** Birthday party-ა მგონი, დილიდან გამაყრუეს ზარებმა“ – ნინია კაკაბაძე.

„პატრიარქის Birthday party“ – ნეტა რისი თქმა უნდოდა ამით?

1. ნამეტნავად განათლებულია და ინგლისური სიტყვები ქართულში ერევა?

2. დასცინის პატრიარქს და მრევლს?

3. იმდენად აქვს სულში ზიზღი გამჯდარი, რომ თავს ვერ იკავებს (დარწმუნებული ვარ, რომ ეს თავადაც ძალიან კარგად იცის, მაგრამ თავს ვერ აკონტროლებს).

ეს თეა თუთბერიძე, ლევან რამიშვილი, მიშა სააკაშვილი, ნუგზარ წიკლაური და ყველა ამნაირი რომ უკეთებს რეკლამას დასავლური ცხოვრების წესს, რატომ გვიკვირს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ზიზღი ექნება ნამდვილი დასავლური ფასეულობების მიმართ?

● **ხან როლანდას ძინავს, ხან ნინიას.**
სმენაში არიან რა . . .

● **საქართველოს პარლამენტი – პოეტების მუზა**
(ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მუზა რამდენიმე სამინისტროა):
„დადიოდნენ აღმა-დაღმა* ,
ბატებს გავდნენ უპატრონოს,
მუშაობა არ უყვარდათ,**
მუქთა ჭამა*, – კი ბატონო!**

. . . .

* აღმა-დაღმა – თბილისი-ქუთაისი-საზღვარგარეთი;
** მუშაობა – საქმის კეთება;
*** მუქთა ჭამა – მუქთა ჭამა.

● **ვიღაც ჯაბას ჰგონია, რომ კარგ და საქვეყნო საქმეს აკეთებს, ამიტომაც თავის ლომბარდს „ჯაბა-კრედიტი“ დაარქვა...**

● **ვაააა, ინგა მომენატრა გრიგოლია! ინგა და საცივი რა! ერთნაირად!**

● **იცით, რა მაინტერესებს... სიგარეტი გაძვირდაო და რამდენი პროცენტით გაძვირდა...იცით ვინმემ?**
სხვადასხვა მარკეტში სხვადასხვა ფასია... 20-30-40 თეთრით გაძვირებული....
ეს პატივცემული ვაჭრების თვითშემოქმედებაა?
ფასების რეგულაცია, რა თქმა უნდა, არ არსებობს ჩვენს დიად და უპატრონო ქვეყანაში!
სტატუსი გაბრაზებული მწეველისაა!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◉ ციტრუსი

გაყიდული თხის საფასურად ნაყიდი თხა,

ფსოუს საზღვართან კილომეტრებზე გადაჭიმული ციტრუსის ბაზარი

დასავლეთ საქართველოში ციტრუსის კრეფა უკვე დასასრულს უახლოვდება. გუშინდელთან შედარებით ციტრუსი წელს ცოტაა, მაგრამ უკეთესი ხარისხის. ამას ისიც ემატება, რომ წელს პირველად, ხელისუფლებამ სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო. მანდარინის ორგანიზებულად ჩაბარებისთვის ბათუმში საკოორდინაციო შტაბიც ამოქმედდა. კომპანიები სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფოსგან სუბსიდიას იღებენ და ასევე, შესაძლებლობა აქვთ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მე-6 კომპონენტის ფარგლებში აიღონ კრედიტი, რომლის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო მოახდენს. პროექტის ფარგლებში, კომპანიები, რომლებიც 1 კგ. სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ. მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას მიიღებენ. სახელმწიფო პროგრამა 2015 წლის პირველ თებერვლამდე გაგრძელდება. ბოლო მონაცემებით, უკვე გადამუშავებულია 9973,5 ტონა მანდარინი, ხოლო ექსპორტზე 21 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი გავიდა.

ნათია ინასარიძე, ქობულეთის მკვიდრი:
– შარშან 1 კილოგრამ მანდარინს 15-20 თეთრად ძლივს ვაბარებდით. ამის გამო დაახლოებით სამი ტონა ციტრუსი ხეზე დაუკრეფავი დავტოვე. მუშახელშიც კი არ მიღირდა ფულის გადახდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რამდენი დამილპა დაკრეფილი და ყუთებში ჩალაგებული ჩაბარების რიგში მდგომს. წელს მოსავალი ცოტა იყო. შედარებისთვის, გასულ წლებში თუ 13-15 ტონამდე ციტრუსს ვკრეფდი, წელს 5 ტონა მოვიწიე. ასეთი სურათია ზოგადად, რამაც რეალიზაციის პრობლემა ნაწილობრივ მოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ წელს ქართული მანდარინის შესაძენად არც უკრაინელები ჩამოსულან და არც აზერბაიჯანელები, ხარისხიანი მანდარინი 1 ლარად ჩავაბარეთ, შედარებით უხარისხო ციტრუსში 75 თეთრს გვიხდიდნენ. ყველაზე დაბალი ჩასაბარებელი ფასი 1 კილოგრამზე 55 თეთრი იყო. კარგი ის არის, რომ არც რიგები ყოფილა პავილიონებთან და არც ხეზე დაუტოვებიათ მოსაკრეფი ციტრუსი.

მერაბ ნოღაიდელი, ქობულეთის რაიონის სოფელ ღლეღვას მკვიდრი:
– შარშან ძალიან დაბალ ფასში ჩავიბარეთ ადგილობრივი მოსახლეობისგან მანდარინი, მაგრამ რაც ჩავიბარეთ, ნახევარიც კი ვერ გავყიდეთ - უკრაინისკენ მიმავალი ციტრუსით დატვირთული ტრაილერები საზღვარზე გაჩერდა, რადგან კიევში პოლიტიკური პროცესები ყოველ წუთს იცვლებოდა. წელს ციტრუსი მცირე რაოდენობით მოვიდა. ყველაზე დაბალი ხარისხის ციტრუსში 50 თეთრი გადავიხადე, მაგრამ გაყიდვაც მოვასწარი. შარშანდელისგან განსხვავებით, ვალი არ დამდებია.

აჭარისგან განსხვავებით, ციტრუსის რეალიზაცია პრობლემებით მიმდინარეობს გალის რაიონში. გამკაცრებული კონტროლის გამო, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა, ციტრუსი, ძირითადად კი მანდარინი და ფეიხოა, უპრეცედენტოდ დაბალ ფასში ჩაებარებინა.

მარინა, გალის რაიონის მკვიდრი:
– ფსოუს საზღვრისკენ მოგვიხდა მოსავლის გადატანა, რადგან ადგილობრივი ბაზარი უკვე ათვისებულია და პროდუქციას ვერ ვყიდით. არადა ციტრუსია ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყარო, რომლის რეალიზაციიდან მიღებული ფულით, შემდეგ მთელი წელი თავი უნდა ვირჩინოთ. ადგილობრივ ბაზარზე კი ძირითადად რუსული პროდუქტი იყიდება და ფასებიც მაღალია. რუბლის კურსის ვარდნამ პროდუქტებზე ფასები კიდევ უფრო გაზარდა, მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გაიაფდა, მათ შორის რძის ნაწარმიც და ციტრუსიც. აფხაზეთის მაღაზიებში შეფუთული პროდუქტები მთლიანად რუსულია. თვითონ აფხაზური პროდუქცია ქარხნული წესით არ იფუთება. შესაფუთი არც არაფერი იწარმოება. აფხაზური ეტიკეტით გამოდის მხოლოდ ღვინო, მინერალურ წყალი, „ჭაჭა“ და ლიმონათი. დანარჩენი – მანდარინი, თხილი, კივი, ფეიხოა და ხურმა ბაზარში წონით იყიდება.

– აფხაზეთში ციტრუსის ჩასაბარებელი საწარმო არ არსებობს?

– კი, გულრიფშის რაიონში არსებობს ფირმა „სოფია“, მაგრამ მათ თავად აქვთ ციტრუსის პლანტაცია და მოსახლეობისგან ძალიან მცირე რაოდენობით ყიდულობენ მოსავალს. ასე რომ, ჩვენ ისევ ჩვენი თავის იმედად ვრჩებით და ამიტომაც ნახავთ, ფსოუს საზღვრისკენ კილომეტრებში გადაჭიმულ ციტრუსის ბაზარს, სადაც ლარში თუ ვიანგარიშებთ, 1 ლარად 4 კგ საუკეთესო ხარისხის მანდარინის შეძენა შეიძლება. სხვა არჩევანი არც გვაქვს, ციტრუსი ან აქ უნდა გავყიდოთ და ან არსად. ამ თანხით კი ხარჯებსაც ვერ ვფარავთ. მუშახელსაც, ლარებში თუ გადავიყვანთ, დღეში 25 ლარს ვუხდით. ადგილობრივებს თავისი გასჭირვებიათ და ამიტომ ზუგდიდიდან გადმოსული მუშახელი გვეხმარება კრეფაში. რადგან კონფლიქტის ზონაში გადმოდიან და რისკავენ, გასამრჯელოსაც უფრო მეტს იღებს. საბოლოოდ კი არაფერი გამოგვდის – თხა ვიყიდე, თხა გავყიდეს პრინციპით მოგვყავს მოსავალი.

ლალი პაპასკირი

◎ სიცოცხლის კალენდარი

ის არავისგან მოთვინიერებული არ ყოფილა, თავად იყო სიტყვის სტილისტურად მომთვინიერებელი

„კოლხეთის ცისკრის“ ავტორმა მეორე საუკუნეს უკვე ათი წელიწადი ჩამოუყარა

ფრანგი ჟორჟ ლუი ლეკრეკ ბუფონის სიტყვები, სუყოველი ადამიანი სტილიათ, ჩემი დაკვირვებითა და გაგებით ზედგამოჭრილია კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე როგორც ქართულ სიტყვასთან გამიჯნურებულ მწერალზე, რომელიც ამ ქვეყანას 110 წლის წინათ უფლის შობის დღეს მოევლინა... და ქარიშხლიანი მეოცე საუკუნის სამოცდაათიდან იმ ორმოცდაათწლიანი მონაკვეთის ასახვა მოუხდა, ბევრს შეგნებულად და ბევრსაც შეუგნებლად არა მარტო გულზე რომ არ ახატია, არამედ მთელი არსებით სძულს და მზად არის, ჩვენი წინა საუკუნე დროის უამმონაკვეთოდ დატოვოს.

ეს შეგნებული თუ შეუგნებელი სიძულვილი უწინარესად იმ ადამიანთაგან, ვინც „ბალახის ძოვას აპირებდა“, ოღონდ „საქართველო ენახათ თავისუფალი და დამოუკიდებელი“, შხამიანი ისარივით მიმართულია სწორედ მეოცე საუკუნის ზემოხსენებული ორმოცდაწლიანი მონაკვეთის ამსახველ მწერალთა წინააღმდეგ, რომელთაგან კონსტანტინე ლორთქიფანიძე უთუოდ გამორჩეულია და ამიტომაც დასავიწყებლად გამეტებულთა რიცხვშია სრულიად უსამართლოდ მოქცეული. მაგრამ, საბედნიეროდ, ძალით არც ღირსეულის დავიწყება შეიძლება და არც არაღირსეულის არდავიწყება.

„კოლხეთის ცისკრისა“ და „ნატვრისთვალის“, აგრეთვე არაერთი ჟამგამძლე უტყუარი მოთხრობის ავტორმა ბევრზე კარგად იცოდა (ამიტომაც იყო გამორჩეული), რომ იმჟამინდელი სოციალიზმის მთელი არასრულყოფილების მიუხედავად, კაცობრიობა ეზიარა ფასდაუდებელ გამოცდილებას, რომელსაც უკვე გვერდს ვერ აუვლის XXI საუკუნის მსოფლიო ცივილიზაცია.

აი, თუნდაც ამიტომ როგორც „ბალახის მჭამელები“, ისე „არამჭამელები“, თუკი სადი აზრით შეგხედავთ ბევრის ვიწრო თვალში ჩვენს გუშინდელ გადედინაცვლებულ წარსულს, რომელსაც ვერ გადმოვახტებოდით და რომლის გამოუვლელად ამჟამინდელ კალენდარს დღეევანდელ ფურცელს ვერ ჩამოვახევდით, ვალდებულნი ვართ, რომ საკადრის პატივს მივაგებდეთ ყველას, ვინც ნიჭიერად, უტყუარი მემატიანის ძალისხმევით აღბეჭდა და მოიტანა ჩვენამდე წინა თაობათა ზემოხსენებული მართლაც ფასდაუდებელი გამოცდილება.

როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კონსტანტინე ლორთქიფანიძეში ნამდვილი მწერალი რომ არ დაენახა, განა მიხეილ ჯავახიშვილი არა მარტო დაწერდა, არამედ გამოაქვეყნებდა კიდეც, რომ „ამ ახალგაზრდა კალამოსანს კარგად გამართული ქართული ენერხებაო, ძალიან ჭრელი თვალი აქვსო, ნივთიც კი ისე, როგორც ადამიანი, იმისი გავლენის ქვეშ არის მოქცეულიო, იმისი მხატვრული სახე სუფთაა, მკაფიო, სრულიად ახალნაირად არის მოჭრილიო“. და, ბოლოს, „ლორთქიფანიძე შოლოხოვს არ ჩამოუვარდება ზოგიერთ რამეში შეჭველადო“.

მიხეილ ჯავახიშვილზე არანაკლებ აფასებს თავის ასევე ახალგაზრდა სეხნიას კონსტანტინე გამსახურდიაც, რომლის აზრით, შუდამ ბევრი „ეფოხრიჯებოდა მწერლობას“, მაგრამ „ბოლოს და ბოლოს სულ რამდენიმე მწერალიდა შემოგვრჩა“. „მთვარის მოტაცების“ ავტორი ერთ ასეთ, ცოტა არ იყოს, დონკიხოტურ ამბავსაც იხსენებს: „ერთხელ სახაშეში მიჯექით. პაოლო იაშვილი და იმისი მოსპოველი სტუმარი კიტრის ნაფცქვენებს მესროდნენ. მე მივედი იმათ მაგიდასთან. ჩემი სატევარი, რკინისა და ძვალთა მჭრელი, გავაშიშვლე და მივეჭერი მთვრალებს. პაოლო აყვირდა: მე მომკალი, ოღონდ მაიაკოვსკი დაზოგეო. ბოლოს ისინი გაიქცნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდნენ კონსტანტინე (ლორთქიფანიძე) და ორი ამხანაგი იმისი. დასხდნენ და ნებიერად მიირთმევდნენ საუზმეს. კონსტანტინემ მარჯვენა მოიჩრდილა თვალებზე. ბოლოს მე მომეჭრა, ძმურად გადადაკოცნა და თავის სუფრასთან მიმიწვია. ასეთი გულტფილი იყო იგი ჩემ მიმართ, თუმცა მე ეს იმსანებში არ დამიმსახურებია...“ და განაგრძობს „ჩვენია კონსტანტინემ სახელი გაითქვა როგორც საბჭოეთში, ისე ევროპაში. ჩემი აზრით, მწერალთაგანი, განსაკუთრებით პროზაულ ქმნილებათა ავტორი, კავკასიონს თუ ვერ გადასცდა, იგი ამაოდაა დამაუფრალი შინაც. კონსტანტინემ უცხოეთშიც გაითქვა კარგი, შესანიშნავი სახელი, და იმისმა ნოველებმა და რომანებმა რეზონანსი იპოვნა... საერთოდ ეე მომწონს კონსტანტინეს ენა...“

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, აღარაფერს ვამბობ არაგონისეულ და სხვა დიდ ევროპელ სიტყვის ოსტატთა შეფასებებზე. და საერთოდ ამ ჭეშმარიტი თავანკარა ქართულის დიდოსტატს სულაც არ ესაჭიროება ვისიმე ნაძალადევი ქება-დიდება ან დაცვა, მით უმეტეს, ჩემი.

მადლობა ღმერთს, მიუკერძოებელი გონიერი მკითხველი ჯერ კიდევ ბევრია და, ალბათ, არც არასოდეს არ დაილევა საქართველოში.

ერთი რამ კი აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო. კონსტანტინე ლორთქიფანიძის რჩეული ორ ტომად ბოლოს ამ ათი წლის წინათ გამოვიდა მწერლის დაბადების ასი წლისთავზე. რჩეული დიდი სიყვარულით აქვთ შედგენილი მწერლის აწ გარდაცვლილ ვაჟიშვილს, ყველა ჩვენგანისთვის ძვირფას გოგის (გიორგის) და რძალს, ჩინებულ ქალბატონს ლილის.

იმედია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც მძიმე დროისა და ვითარების გამო ერთგვარად შეზღუდულია, მაინც იზრუნებს და, შეძლებისამებრ, მოახერხებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემას, რაც უთუოდ უებარი წამალივით წაადგება ამ ჭეშმარიტად სამაგალითო სტილისტის გამოცდილება კალამთან არცთუ ყოველთვის ფაქიზად „მოარშიყე“ მწერლობის ძნელად შესაღებ ჭიშკართან უხვად თავმოყრილ ლიტერატურული ჟინით შეპყრობილ ახალგაზრდებს...

ძვემოთ ერთ ჩემს ძველ ჩანაწერს ამ შობა დღეს (რაც სიმბოლურად მეჩვენება!) მოკრძალებით ვთავაზობ დღეს უკვე კომპიუტერითა და ინტერნეტით განებივრებულ მკითხველს.

კიდევ კარგი, ცოცხალთა შორის ჯერ კიდევ ბევრია, ვინც ირწმუნებს ჩვენს ნათქვამს და უტყუარ სიმართლედ აღიქვამს. ვინაიდან, ქართული სიტყვის ამ უდავოდ დიდოსტატის სახელთან სისხლხორცეულად დაკავშირებულია ჩვენი სამიათასწლოვანი ისტორიის გამონაკლისად რთული და არც ერთი წინა ასწლეულის ოდნავადაც არამსგავსი მეოცე საუკუნის თითქმის ორმოცდაათწლიანი დროის მონაკვეთის მაღალმხატვრული მემატიანეობა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მწერალი რას ასახავს, მაგრამ უპირატესი მაინც ის არის, როგორ ასახავს, რა ხარისხით ასახავს დროისეულ ეროვნულ სულსა და ფსიქოლოგიას... ასე რომ არ იყოს, არც ერთი წინა დროების მწერლობა მომდევნო თაობებისთვის საგულისყურო არც იქნებოდა. მწერლისა რა ბრალია, სად და როდის მოუხდა ცხოვრება. ყველანი ჩვენ-ჩვენი დროების შვილები ვართ. როგორც დედ-მამას არცვინ არ ირჩევს და ვერცვინ ვერ გამოიცვლის, ამაზე ფიქრიც კი აშკარა სისულელეა, ასევე თავის დროებასაც პიროვნულად ვერვინ ვერ შეიცვლის სხვა დროებით. შენ ის მითხარი, თუ მართლა შემოქმედი ხარ, როგორ შვილობ შენს წილხვედრ დროებას, შენს ამქვეყნად ყოფნას... დანტემ, ცხადია, სულაც შემთხვევითად არ დახატა ჯოჯოხეთი. მაშ, ავდგეთ და უარი ვთქვათ „ღვთაებრივ კომედიაზე“, არ გვინდა, რა გვეჯოჯოხეთება! ილია ჭავჭავაძემაც თავისი დროის ჭაობიდან ამოაყურყუმელავა ლუარსაბ თათქარიძე. იცოცხლე, ბევრი აუყაყანდა „მეჭაობე“ მწერალს, სულაც არ გვეთათქარიძეებაო! დაახლოებით ასე დაემართა ჩვენში ერთ-ერთ ფრიად გონიერ და თავისი დროის მიმართ რატომღაც აუტანელი სიძულვილით გამორჩეულ მეოცე-საუკუნელს (თუმცა, იმ დროის ძუძუთი კარგა გვარიანად იკვებებოდა. რა დასამალია, და ბევრზე უკეთესადაც!). როცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება „მოთვინიერებული მწერლობის“ საზღვრებში მოაქცია.

ვინც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოსწრებია და იცნობდა (ხასიათხორკლიანს გენაცვალე და შენი ჭირიმე მაინცდამაინც ხშირად არ ეკერა ენაზე!), იქნებ ყველას არა, მაგრამ ბევრს ეხსომება, რომ, ერთ ძველ ანდაზას თუ მცირედ გადავასხვაფერებთ, ის სულაც არ იყო დროისმიერად ისე შიშატანილი „მესაფქვავე“, რომ სათქმელი გადაეყლაპა და „მეწისქვილისთვის“ ვერ გაებედა პირში თქმა, ნუ მირთხავ, მსხვილად ნუ მიფქვავ, წვრილად დამიფქვიო. „მეწისქვილე“ კი, კარგად მოგეხსენებათ, საკმარისად ავიც იყო და არც კიდევ იშვიათად მიმართავდა ძალმომრეობას. „კოლხეთის ცისკრისა“ და „ცაბუნიას“ ავტორი, ამ თვალსაზრისით, არასოდეს ყოფილა „მოთვინიერებული“ მწერალი. როგორც იტყვიან, ის თავისი გულის კარნახით ასახავდა ქაღალდის თეთრ უდაბნოებზე თავის წილხვედრ დროს, მუდამ ცხოვრების კვალში იყო ჩამდგარი, არავითარი სასიკეთო სიახლე არ გამოეპარებოდა, ნარკვევსაც კი ისეთივე პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, როგორც რომანს ან მოთხრობას. გახსოვთ, ალბათ, ფრიად შორს გამიზნული და ამ მხრივ დიდად გახმაურებული „რა მოხდა აბაშაში?“ რომელი სათაურიც მალე მთელ საქართველოში საზოგადო გამოთქმად იქცა. და ბარემ ამასაც აქვე ვიტყვი, — თუ, ჩვენი მწერლობის ისტორიაში გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონებსაც“ კი თავისი ადგილი აქვს მიჩენილი (ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს დაკნინებისგან), განა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ისეთი რა მიუტევებელი ცოდვა აძევს, რომ ამ ჭეშმარიტად რჩეულთა შორის რჩეული მესიტყვისა და მართლაც პიროფლიანი, იშვიათი მოღვაწის სახსენებელზე ხელოვნურად ავაბიბინეთ დავიწყების შავი ბალახი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე (მარჯვნივ) და გურამ გოგიაშვილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. 1975 წ.

გენადი სანაიას ფოტო

ავი იყო თუ კარგი, ის დროება ყველამ ერთად გამოვიარეთ (საერთოდ, ვინმემ თუ იცის, რომელია სოციალურად საყოველთაოდ საუკეთესო დრო?), შეიძლება, რომ კაცმა სხვა ყველაფერი გამოტოვო, მაგრამ დროის გამოტოვება შეუძლებელია. ის დრო ჩვენშიც და მთელ მაშინდელ უზარმაზარ ქვეყანაშიც ბევრმა მწერალმა ასახა. თვით დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამაც კი სცადა იმ დროებისთვის ხარკის გაღება და „ვაზის ყვავილობა“ დაწერა. მაგრამ, პირუთვნელად თუ ვიტყვით, „დიდოსტატის მარჯვენის“ უკვდავ ავტორს ეს რომანი არ გამოუვიდა,თუმცა, ასევე მწერლის დროინდელ ცხოვრებაზე ადრე შექმნილი „მთვარის მოტაცება“მუდამ იქნება ქართული პროზის ერთ-ერთი მწვერვალი (რახან სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც ითქვას, რომ დიდოსტატი კონსტანტინე პირველი იყო უაღრესად მაღალი შეხედულებისა დიდოსტატ კონსტანტინე მეორის შემოქმედებაზე, რაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე ვთქვით!).

ქართველი კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ისევე როგორც რუსი მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, არა მარტო იმ საერთო ცხოვრების, არამედ იმ საერთო დრო-ჟამის უტყუარი მატიანეც არის, რომელიც გონიერ ადამიანთ ყოველთვის მოუკლავს გარდასულ დროთა შეცნობის წყურვილს. რაც იყო, როგორც იყო, მთელი თავისი ეროვნული, სულიერი მღელვარებით— დრო აქცია მწერალმა ცხოვრების მრავლისმთქმელ წიგნად. ის კი არა, რა სიმკაცრითა და მომთხოვნელობითაც არ უნდა შედგეს ოდესმე, ერთი მოთხრობის მსოფლიო ანთოლოგია, ეჭვი არ მეპარება, რომ „ცაბუნია“ თავისი მხატვრული ენერგიით არც ერთს, თუნდაც ცოტათი მაინც, არ ჩამოუვარდება. მთელი მეორე მსოფლიო ომია დიდოსტატურად ჩამუხტული ამ პატარა მოთხრობაში, თანაც ჩვენებურად, ქართულად დანახული.

და, რაც ყველაზე მთავარია, ძველთუძველეს ქართულ ენას, ქართული ენის სტილისტიკას, ჩვენი ენის სულსა და გულს ბევრი არა ჰყოლია კონსტანტინე ლორთქიფანიძისთანად მკაცრი მომფერებელი, მინყიე ყურგაფაციცებული მიჯნური, ვინაც ქართული ენის ბუნებრივი მხატვრული მჩქეფარება თვისობრივად საქართველოსავე ყოვლის უფრორე ანკარა, უჩვეულოდ მარგებელ და, ამასთანავე, მკურნებელ წყარო-ფშებს დაამსგავსა, რომელ წყარო-ფშათა დაწაფებაც (თუ ერთ არამშვენიერ დღეს, ბოთლ-ბოთლ უცხოეთში არ გავყიდეთ), უთუოდ საკეთილოდ ამხნევებს ყველა გულიან ქვეყნის ჭირისუფალ ქართველს.

აი, რატომ გადავწყვიტეთ დღეს მავანთაგან ძალდაძალ მივიწყებული ამ ქართული მადლიანი სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატის გახსენება, რომელსაც თვით წუმპეშიც კი ცით არეკლილი ვარსკვლავების დანახვა შეეძლო და რომლის კალმიდანაც, ვიცი, ბევრია ამ აზრისა, მხოლოდ ოქრო წვეთავდა.

უსამართლობას არასოდეს მოუტანია თუნდაც მცირედი სიკეთე, მაშ, ნურც ჩვენ ვიქნებით უსამართლონი, მით უმეტეს, თუ საამისოდ არანაირი საფუძველი არა გვაქვს. ძალით ნუ გავიღარიბებთ თავს. მომავალი სასტიკად მოგვკითხავს. ის თავისას მაინც იტყვის. ამიტომ, ბევრად აჯობებს, თუ ჩვენ დავასწრებთ.

გურამ გოგიაშვილი.

P. S. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ჩინებული პროზის ანკარა სტილისტიკა კონსტანტინესავე პოეზიისეულია. ის ასევე ჩინებული პოეტია, რომლის სტრიქონის ფეთქვაც გონებამდე გულის გავლით მიდის:

ჩუმად მივყვები ნაწვიმარ ბილიკს
და თეთრი ვარდი მიჭირავს ხელში...
და ქვეყანაზე კაცმა არ იცის,
რომელი უფრო საცოდავია:
შენ — ვისაც გულზე ცივი ქვა გადევს
თუ ვისაც შენთან მოაქვს ეს ვარდი.

* * *

გული არ დაგწყდეს,
ო არ გეგონოს,
რომ შენზე მეტხანს ვიცოცხლე
თითქოს...
მე მხოლოდ შენზე მეტხანს ვიტანჯე.

ეს თანამეცხედრისგან დაკენტებული პოეტის მწარე გოდებაა.

ჩემი ნათქვამის თვალცხადლივი ნიმუშია აგრეთვე თუნდაც ერთი იაპონელი კლასიკოსის ტანკა, რომელიც ქართულად კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სიცოცხლის ბოლო წლებში გადმოაენა, როცა ხანში შესულთ დროდადრო დედის შორეული ტკბილი ხმა უკვე სევდიანად ჩაგვესმის:

ერთხელ ხუმრობით დედაჩემი
მხარზე შევისვი,
იგი ისეთი მსუბუქი იყო,
რომ უცბად ცრემლი მომერია
და ვეღარ ვზიდე...

ასე ჩაუქრობელი ცისარტყელასავით ბზინავს პოეტის მართალი სიტყვა, და ამიტომ გჯერა სიკვდილის ჯიბრზე ნათქვამი ამ სტრიქონებისაც...

მე არ მეყოფა სამი ფიცარი,
სიტყვა უთქმელი იმდენი მიმაქვს...

მაგრამ რაც აქ დარჩა, ამქვეყნად, ისიც საკმარისზე მეტია სიკვდილისა და დავიწყების საბოლოოდ დასამარცხებლად...

გ. გ.

„ისლამური სახელმწიფო“ – მსოფლიოს სერიოზული გამოწვევა

გასული წელიწადი, „ისლამური სახალიფოს“ ოფიციალური გამოცხადების წელიწადია – მართალია, ჯერაც არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებულის, მაგრამ შიშის მომგვრელის, სერიოზული ფიქრის გამჩენის.

„ისლამური სახელმწიფო“, ანუ „სახალიფო“ რომ ძლიერ თავსატკივარს უჩენს და გაუჩენს მსოფლიოს, ფაქტია. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს თავის ტკივილი, არავინ უწყის. არც ის არის ცნობილი, შეიძლება თუ არა ამ თავის ტკივილის განკურნება. გამოცდილი „ექიმები“ ამბობენ, შეიძლებაო, თუმცა, „მკურნალობის“ მეთოდი, რომელსაც ისინი გვთავაზობენ, სულაც არ არის იმედისმომცემი.

ისე, როგორც აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში აფეთქებული დაავადება „ებოლა“, რომელმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა, „ისლამური სახალიფოც“ ათასობით ადამიანს სპობს. როგორც პირველთან, ისე მეორესთან ბრძოლაში ჯერჯერობით მსოფლიო უძლურია.

თუ პირველ შემთხვევაში დაავადების ვაქცინას დღე-დღეზე გვპირდებიან, მეორე შემთხვევაშიც იგივეს გვეუბნებიან. აშშ და მის მიერ შექმნილ კოალიციაში შემავალი ქვეყნები „ისლამური სახელმწიფოს“ არსებობისთვის წერტილის დასმით იმუქრებიან, თუმცა, რამდენად შესრულებადია დაპირება და რამდენად გულწრფელია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გამოცხადებული ომი, ღმერთმა უწყის.

გასული წლის ფაქტები სხვაზე მეტყველებს, უპირველესად იმას, რაც შეუნიღბავი თვალითაც კარგად ჩანს და რის შესახებაც ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდოლრეზა რახმანი ფაზლიმ განაცხადა: **„თეირანს არ სჯერა ამერიკელების, ვინაიდან თვლის, რომ სწორედ აშშ უწყობს ხელს რეგიონში ექსტრემისტული დაჯგუფებების გავრცელებას, შეიარაღებას, დაფინანსებას, წვრთნას, ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ამერიკისა და მის მიერ შექმნილი კოალიციის მოქმედება სპექტაკლია და მეტი არაფერი. ის შედეგს ვერ მოიტანს“.**

თვალი გადავავლოთ ახლო აღმოსავლეთის თუნდაც ბოლო 5 წლის ამბებს, რომლებშიც მოწინავე ადგილს იკავებს არაბული „ფერადყვავილოვანი“ რევოლუციები – სხვა დასახელებით, მაგალითად, „არაბული გაზაფხული“ – იუგოსლავიის, უკრაინის, საქართველოს, სხვა ქვეყნების რევოლუციური შინაარსით. მათი მიზანი იყო ხელისუფლების დამხობა, ახალი, ლოიალური ხელისუფლების მოყვანა.

აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბევრი იღვაწეს არაბულ ქვეყნებში რევოლუციური ტალღის აგორებისთვის. ზოგან გამოუვიდათ, ზოგან არა და სადაც არა, მაგალითად, სირიას, ისეთი რამ დამართეს, თანამედროვე სირიის შემქმნელი ხაფეზ ასადი, ამჟამინდელი პრეზიდენტის მამა, სამარეში სიმწრით ათასჯერ გადაბრუნდებოდა.

ერთ დროს, ახლო აღმოსავლეთის წარმატებული სახელმწიფო სირია, ნანგრევებადაა ქცეული. სიმშვიდის ოაზისებად არის შემორჩენილი დედაქალაქ დამასკოს ზოგიერთი უბანი. ოფიციალური მონაცემებით, მარტო შარშან 80000 ადამიანი დაიღუპა, არაოფიციალურით – გაცილებით მეტის.

მიზეზი – ვაშინგტონის მიერ აკვიატებული იდეა – სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ჩამოგდება, ვითარცა დესპოტისა და დიქტატორის, საკუთარი ხალხის მჩაგვრელის. ამ იარლიყის მიმწებებელი აშშ, შესანიშნავად თანამშრომლობს საუდის არაბეთთან, მონარქიასთან, რომელიც შუა საუკუნეების მეთოდებით იმართება. იქ ქალი ავტომანქანის საჭესთან, ისეთივე გაოცებას გამოიწვევდა, როგორც ჟირაფი, სხვა „სიკეთეებზე“ რომ არაფერი ვთქვათ.

ბაშარ ასადის სირია, არაბულ და არა მარტო არაბულ მონარქიებთან შედარებით, მართლაც რომ დემოკრატიის ნაკრძალია. მაშ, რამ გამოიწვია ამერიკელთა ესოდენი გაგულისება სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიმართ? უპირველესად საკუთარმა ინტერესებმა, რეგიონში უკონკურენტო არსებობის სურვილმა – და როდესაც ქვეყნის ინტერესს ეწინააღმდეგება ამერიკელთა გუშინდელი ძმა და მეგობარი ბაშარ ასადი, ის უნდა გაიწიროს, ისე, როგორც ლიბიაში – მოამარ კადაფი, ერაყში – სადამ ჰუსეინი.

კადაფი და სადამ ჰუსეინი, აშშ-თან ერთობ ჩახუტებულნი, უცბათ მტრად იქნენ შერაცხილნი პირველი ქვეყნის მიერ. დიდმა ქვეყანამ არ გაითვალისწინა წარსული მეგობრობა, არც მათ მიერ გაკეთებული ბევრი რამ სასიკეთო და ორივეს ტანჯვით ამოხადა სული.

სადამ ჰუსეინისა და მოამარ კადაფის ამბავი კარგად უნდა გაითვალისწინონ უკრაინის ხელისუფლებამ და საქართველოს ძველმა („ნაცურმა“) და ახალმა („ოცნებურმა“) მმართველებმა. ვინ იცის, როდის და რა მომენტში გადაუბრუნდება თავში „შარიკი“ ამერიკელ სტრატეგიულ პარტნიორს და დღეს ნაქები პოროშენკო, იაცენიუკი, ტურჩინოვი, სააკაშვილი, ზღულაძე, სხვა ბელადები, ხვალ, ამერიკული „დახვეწილი“ წამებით კადაფ-ჰუსეინის გზას არ გაუყენოს.

ისე, რაც მართალია, ბაშარ ასადის მიმართ ვაშინგტონს „შარიკი“ კარგა ხანია, გადაბრუნებული აქვს. მას არ მოსწონს დამასკო-მოსკოვის მეგობრული ურთიერთობები, რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა ტარტუსში. არც სირია-ირანის მჭიდრო თანამშრომლობა მოსწონს – შიიტური ირანი და ალავიტური სირია სტრატეგიული პარტნიორები რომ არიან, თანაც ისეთი, რომელიც მარტო პოლიტიკასა და სამხედრო ურთიერთობებს რომ არ ეფუძნება.

ირან-სირიას ბევრი რამ აკავშირებს – ეკონომიკა, ენერგეტიკა და ა.შ. ირანს საინტერესო გეგმაც ჰქონდა – ირანული ენერგომატარებლების მილსადენით, სირიის ტერიტორიის გავლით, ხმელთაშუაზღვით, ევროპაში გატანა.

სირიის სატრანზიტოდ გამოყენების სურვილი ჰქონდა აშშ-ის მოკავშირე ყატარს. ამ პროექტს ვაშინგტონი უჭერდა მხარს. დამასკომ უარი უთხრა ყატარს, რითაც გააგულისა აშშ, რომელმაც აამოქმედა მუდამ ნაცადი „რევოლუციის“ მანქანა. ცნობისთვის, ტერიტორია, სადაც ირან-სირიის მილსადენს უნდა გაევლო, დღეს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ არის ოკუპირებული.

ასე და ამრიგად დაიწყო ანტიბაშარული, სირიული რევოლუცია, ათასი ჯურის ტერორისტული ორგანიზაციის ჩართვით, მათ შორის „ალ-ქაიდას“, მართალია ირანის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლის განცხადებაც ზემოთ მოვიყვანეთ.

დიახ, აშშ-ის სპეცსამსახურების შრომის ნაყოფია „ალ-ქაიდას“ ფილიალის „ჯაბხატ ან ნუსრას“ გადაბირება და მასთან ერთად სხვა ვაჰაბიტურ-სალაფიტური ორგანიზაციის დარაზმვა ბაშარ ასადის წინააღმდეგ. „ჯაბხატ ან ნუსრა“ გახდა „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების მთავარი საყრდენი და მასთან ერთად სადამ ჰუსეინის მიერ გაწვრთნილი სამხედროები.

გასული წლის ბოლოს, თეირანის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც მსოფლიოს 40 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, დევიზით - „მსოფლიო ძალადობისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ“ – გამოსვლის დროს ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ გაეროს მოუწოდა უფრო აქტიურად იბრძოლოს ტერორიზმის წინააღმდეგ. ყურადღება გაამახვილოს რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობაზე სირია-ერაყის ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში.

„ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამ სერიოზული ძვრები გამოიწვია ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ. იდეოლოგიურად ამ „სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის განსხვავება არ არის, მაგრამ ტერიტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს რუკაზე რეალობაა.

„ალ-ქაიდა“ ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მთელი ავღანეთი, მაგრამ უშედეგოდ, ამდენად, ის ვერ იქცა სახელმწიფო წარმონაქმნად. მან მრავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლო კონტროლირებული ტერიტორიის შენარჩუნება. ამდენად, ის ტერორისტულ ორგანიზაციად დარჩა. რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ – ის თავს იმ ბირთვად თვლის, რომლისგანაც შეიქმნება საერთაშორისო „ისლამური სახელმწიფო – სახალიფო“.

„ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამ შეცვალა რეგიონში ირანის მდგომარეობა. ირანი გამოდის ბაღდადის შიიტური ხელისუფლების დამცველად, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის. „ისლამური სახელმწიფო“, რომელსაც ერაყის ტერიტორიის ნაწილი აქვს დაპყრობილი, იმუქრება ბაღდადზე შეტევით. ბაღდადის აღების შემთხვევაში ირანი დაკარგავს პოზიციებს არა მარტო ერაყში, არამედ ახლო აღმოსავლეთში.

ირანის პოზიციების გაუარესებას მიესალმება საუდის არაბეთი, რომელიც ირანს, სპარსეთის ყურეში კონკურენტად მიიჩნევს. საუდის არაბეთი – 70 წლის განმავლობაში აშშ-ის ეროვნული ინტერესების დამცველი ახლო აღმოსავლეთში, თვლის, რომ ირანი მისთვის დესტაბილიზაციის ფაქტორია; რომ ირანს შესწევს უნარი საუდის არაბეთის მონარქიას აუბუნტოს საკუთარი შიიტური მოსახლეობა. ამდენად, საუდის არაბეთი, ისე, როგორც ყატარი, პირდაპირ თუ ირიბად მხარს უჭერდა და უჭერს „ისლამურ სახელმწიფოს“.

„ისლამური სახელმწიფოს“ შექმნამ, გააქტიურა აშშ-ის როლი რეგიონში, როგორც უსაფრთხოების სისტემის მამამთავრისა და აიძულა ახლო აღმოსავლეთის სამი მთავარი მოთამაშე – ირანი, თურქეთი, საუდის არაბეთი სხვაგვარად შეხედონ მას. თურქეთს სურს არაბებისთვის ოსმალეთის თურქეთის მმართველობის თავსმოხვევა. ირანმა უნდა გაითვალისწინოს აშშ-ის ინტერესები, რათა არ დაუშვას ერაყში და საუდის არაბეთში სუნიტების გაძლიერება. ერ რიადს ეშინია „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამ არ გამოიწვიოს აშშ-ისა და ირანის დაახლოება. ის ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საუდის არაბეთის როლი, როგორც აშშ-ის პარტნიორი ქვეყნისა, დაკნინდება.

რა ხდება თვით „ისლამურ სახალიფოში“? „ქვეყანა“ არა მარტო სამხედრო-ტერორისტულ ომს აწარმოებს, არამედ ფსიქოლოგიურ-საინფორმაციოსაც. დაშინების მეთოდის გამოყენებამ არაერთხელ მოუტანა წარმატება ახალი ქალაქებისა და რაიონების დაპყრობაში. გარდა ამისა, ფსიქოლოგიურ-საინფორმაციო მეთოდების გამოყენებამ გამოიწვია მთელი მსოფლიოს რადიკალების მზერის მიპყრობა "ისლამური სახელმწიფოსკენ“.

„სახელმწიფოს“ ჯალათების მიზანი არა მარტო ადგილობრივთა ან უცხოელთა თავის მოკვეთაა, არამედ ამ აქტის სოციალური ქსელებით გავრცელება და ამით „ნეგატიური ფონის“ შექმნა, ნეგატივით მეტი ყურადღების მიპყრობა, დასავლური თუ რეგიონული სულისკვეთების დათრგუნვა.

ისტორიის მანძილზე დაშინებისა და თავზარდაცემის სტრატეგიის გამოყენებას არაერთხელ მოუტანია წარმატება. ასე იყო არაბულ-მუსლიმანური დაპყრობების დროს; ასე იყო მონღოლთა შემოსევებისას.

ამ სტრატეგიაში ერთმანეთს ეხამება ელვისებური ომის წარმოება, ტერაქტები, მძევლების აყვანა, შემაშფოთებელი ცნობები და საჩვენებელი მხეცობა. ყოველივე აღნიშნული იწვევს სწრაფ დამორჩილებას, ართმევს ადამიანს ბრძოლისა და წინააღმდეგობის სურვილს. მაგალითად, თავის მოჭრის აქტის პირდაპირი ჩვენება გაცილებით „ეფექტიანია“, ვიდრე ათასობით დახოცილი გვამის.

რას ემსახურება ბავშვების, ქალების, მოხუცებისა თუ ახალგაზრდებისთვის თავების მოკვეთა, ცოცხლად დამარხვა, ყასბის კავზე ჩამოკიდება, წამების სხვა ვიდეოკადრების ჩვენება? უპირველეს ყოვლისა, საკუთარ „სახლში“ სხვაგვარად მოაზროვნეების დაშინებას. ასეთი მეთოდი აძლიერებს კონფორმიზმს.

წამების აქტების ჩვენება „სახალიფოსკენ“ იზიდავს სადისტურად და ფსიქიკურად შერყეულ ადამიანებს და ეუბნება მათ, რომ მხოლოდ მარტივი გზით – ისლამის მიღებით გაუჩნდებათ საშუალება ცხოვრებაში გაატარონ თავიანთი სადისტური სურვილები.

თავის მოკვეთის აქტის ტელევიზიით ჩვენებით, ისლამისტები ადანაშაულებენ დასავლელ „ჯვაროსნებს“ ისლამურ ტერიტორიებზე შეჭრაში და მუსლიმანთა ჩაგვრაში. „ისლამური სახელმწიფოს“ ჯალათების მოქმედება, ბრძოლის დაწყებამდე დემორალიზაციას ახდენს მოწინააღმდეგში, რაც აძლევს მას შანს წინააღმდეგობის გარეშე დაიპყროს ქალაქები და სოფლები.

„ისლამისტები“ სულაც არ არიან შუასაუკუნეებში ჩარჩენილები. ისინი შესანიშნავად ფლობენ მანიპულაციების მეთოდებს. მათ ზედმიწევნით კარგად აქვთ შესწავლილი ინტერნეტი, სოციალური ქსელები, თანამედროვე კავშირები ახალ თაობასთან, ყოველივე ეს არ ექვემდებარება საყოველთაო ცნობილ სასაზღვრო სისტემას. მათი მანიპულაციებში განსწავლულობა იძლევა საშუალებას გადაბიროს ყველა, ვისაც ბრაზი და შურისძიების გრძნობა აქვს საკუთარი ქვეყნისა და პოლიტიკის მიმართ. სმარტფონები და სოცქსელები ემსახურება მათ ფანატიზმის გავრცელებაში, მომხრეთა დისტანცირებულ გადაბირებაში, როგორც მუსლიმურ, ისე დასავლურ სამყაროში.

შემზარავი კავშირი ისლამურ შუასაუკუნეობრივ ბარბაროსობასა და თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებს შორის არის ახალი ისლამისტური თაობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. „ისლამური სახელმწიფოს“ ბარბაროსული აქტების ფონზე უსამა ბინ ლადენიც საწყლად და სასაცილოდ გამოიყურება.

ახლებმა უკან ჩამოიტოვეს 1990-2000 წლების დამრიგებელ-მასწავლებლები და შესანიშნავად იყენებენ გლობალიზაციის სიკეთეებს, სოციალურ ქსელებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს საკუთარი მიზნების მიღწევისთვის. ისინი აწარმოებენ PR-ს. აქვთ საკუთარი ჟურნალი, ვიდეოსტუდია, მარკეტინგული სამსახური და ა.შ. ისინი მარტივ და ყველასთვის გასაგებ ენაზე მეტყველებენ, თავს არიდებენ რთულ ფრაზებს. თავის დროზე ანალოგიურად მოქმედებდა გებელსი.

ამგვარი მეთოდით შესაძლებელია კოლექტიურ და ინდივიდუალურ აზროვნებაში შეღწევა. „ისლამური სახელმწიფოს“ გენერალური შტაბი აქვეყნებს ანგარიშს გაწეული მუშაობის, სამხედრო გამარჯვებებისა, მკვლელობების, ფინანსური შემოსავლების შესახებ. გასული წლის ივნისში „სახელმწიფომ“ გამოაქვეყნა 400-გვერდიანი ანგარიში, სადაც ილუსტრაციებით, სქემებით და ფოტოსურათებით მოთხრობილია ერაყში განხორციელებული 10000 ტერორისტული ოპერაციის თაობაზე; 1083 სიკვდილით დასჯის მაგალითებზე; 1015 სახლის გადაწვის თაობაზე; 238 თვითმკვლელის მიერ ჩადენილ ტერაქტზე და სხვა.

მიზანი – გლობალური შიშის გამოწვევა, ახალი მეომრების მიზიდვა, ჯიჰადისტების დასაფინანსებლად დონორების წახალისება.

ისე, როგორც ნებისმიერ ტოტალიტარულ სისტემაში, „ისლამური სახელმწიფოს“ მკაცრ კონტროლს ექვემდებარება მისი ტერიტორია და ხალხი. ყოველდღიური ცხოვრება ყურადღებით შეისწავლება სრულუფლებიანი ხისბების მიერ.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, მათ ზედმიწევნით უნდა დაიცვან „სახელმწიფოს“ მიერ შემუშავებული პროტოკოლი. ზოგიერთ ჟურნალისტს უფლება აქვს მოამზადოს ვიდეოსიუჟეტები და ეთერში გაუშვას, ყოველგვარი თავის მოკვეთის შიშის გარეშე. მათ შეუძლიათ იმუშაონ საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებთან, მაგრამ ეკრძალებათ იმ ტელეარხებთან მუშაობა, ვინც იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

„ისლამური სახელმწიფოს“ დამოკიდებულება მეზობლების და სხვათა მიმართ ერთია – საკუთარი გავლენის გაფართოება, საბოლოო ჯამში დიდი „სახალიფოს“ შექმნა.

მომავალ გეგმებში განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება ახლო აღმოსავლეთის, კავკასიის, რუსეთის მიმართ. „სახელმწიფო“ არ აპირებს ამ ტერიტორიების გარედან დაპყრობას. მისი მიზანია, შიგნიდან აფეთქება თანამოაზრეთა მიერ.

„ისლამურ სახელმწიფოში“ ასობით და ათასობით სხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მოქალაქე იბრძვის. ფრონტის ხაზზე შესვენების დროს ისინი სამშობლოს სტუმრობენ, სადაც პროპაგანდის მეთოდით ახერხებენ ახალი ძალების გადაბირებას.

„ისლამური სახელმწიფო“, ვაჰაბიტურ-სალაფიტური იდეოლოგიით, სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონსა და მსოფლიოს. მის მიმართ საჭიროა ყურადღების გამოვლინება და ანტიტერორისტული ღონისძიებების გატარება, რის შესახებაც ითქვა 24 დეკემბერს, სასტუმრო „ვერე-პალასში“ გამართულ კონფერენციაზე. კონფერენციაში მონაწილე ექსპერტებმა, პოლიტოლოგებმა, მედიის მუშაკებმა ილაპარაკეს აღნიშნული გამოწვევის თაობაზე და მოუწოდეს ხელისუფლებას ქმედითი ნაბიჯები გადადგას არსებული საფრთხის შეკავების მიზნით.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: ვალერი კვარაცხელია – პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი, ჟურნალისტი; ჰამლეტ ჭიპაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია, მასმედიასთან და საზოგადოებასთან კავშირი“, პოლიტოლოგი; გულბაათ რცხილაძე – ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი; ვ.ევსეევი – დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის თანამშრომელი, აღმოსავლეთმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი, თადარიგის პოდპოლკოვნიკი; გუგრამ გოგიაშვილი – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; თ.კიკნაძე – პროფესორი, პოლიტოლოგი; ჯემალ გახოკიძე – საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრი; ნანა დევდარიანი – „გლობალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი; ვახტანგ მაისაია – დოქტორი, პოლიტოლოგი; ნუგზარ რუხაძე – ჟურნალისტი; ტატო ლასხიშვილი – „საქინფორმის“ ხელმძღვანელი; სხვები.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ მომსახურება

ქეიფს ვერ ვიწყებთ დილიდან?

რესტორნებს კლიენტურაც შეუმცირდათ და შემოსავალიც

ახალი, 2015 წელი თანდათან ძალაში შედის. როგორც წესი, ამ დღეებში გასართობ დაწესებულებებში ხალხის რაოდენობა იზრდება, ამიტომ, რესტორნები და კაფე-ბარები საახალწლოდ განსაკუთრებით ემზადებიან. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ წელს ამ ბიზნესის წარმომადგენლებს იმედი გაუცრუვდათ: რესტორნების ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ახალი წლის დღეებმა საკმაოდ უფერულად ჩაიარა, უფრო მეტიც, ეს დღეები მათთვის წამგებიანიც კი იყო: საგანგებოდ მოემზადნენ, სოლიდური თანხაც დახარჯეს, რომ კლიენტებს ღირსეულად დახვედროდნენ, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, მათი შემოსავალი მიზერული აღმოჩნდა.

— ელისო ძავთარაძე რესტორან **„ალავერდის“** დირექტორი:

— შარშანდელთან შედარებით ჩვენთვის ეს ახალი წელი უარესი იყო: დეკემბრის ბოლოს და იანვრის პირველ რიცხვებში

ძირითადი დატვირთვა კერძო პირებზე მოდიოდა. კლიენტების რაოდენობაც ნაკლები იყო და შეკვეთებიც. თანაც, შარშან ჩვენს რესტორანში შემოსული კლიენტები გაცილებით მეტს ხარჯავდნენ, რის გამოც შემოსავალი დაახლოებით 30 პროცენტით შეგვიმცირდა. შემოსავალიც ნაკლებია და კლიენტების რაოდენობაც. შარშანდელთან შედარებით საკმაოდ რთული მდგომარეობა გვაქვს.

მიუხედავად წამგებიანი დღეებისა, რესტორან **„შარბათის“** დირექტორი **ილია თანდარაშვილი** ოპტიმისტურად არის განწყობილი:

— რომ გითხრათ, ეს უსარგებლო ბიზნესიაო, მართალი არ ვიქნები — პირიქით, საქართველოში ეს ბიზნესი შემოსავლიანი და სარგებლიანია და იმიტომაც არის ამ რაოდენობის რესტორნები. კონკურენცია არ არის-მეთქი, ამასაც ვერ გეტყვით. კონკურენცია დიდია, მაგრამ ჩვენ მაღალი კატეგორიის სეგმენტი გვიჭირავს, ამიტომაც არ გვეშინია და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ბაზარზე სათანადო ადგილს დავიმკვიდრებთ. ამ გადასახედიდან სახელიც გვაქვს და კმაყოფილი მომხმარებელიც ბლომად გვყავს. ახალი წლისათვის ძალიან დიდი და კარგი პროგრამა მოვამზადეთ, ეს პირველი ახალი წელია, რაც ჩვენი რესტორანი არსებობს, ამიტომაც გვინდოდა რაღაც უფრო ლამაზი, პომპეზური გაგვეკეთებინა და ეს კიდეც შევძელით. მიუხედავად ამისა, გაყიდვების რაოდენობა მაინც მწირი იყო.

თანდარაშვილის თქმით, კლიენტურის სიმცირის გამო იძულებული გახდნენ, ფასი რამდენჯერმე დაეწიათ და დარბაზში თავიანთი ახლობლები და მეგობრები დაესვათ: **„დიდი პროგრამა გვქონდა და სერიოზული ხარჯი გავწიეთ. რასაკვირველია, ასეთ დროს გინდა, რომ დარბაზი გაივსოს. ჩვენ ორი დარბაზი გვაქვს, ვინც ქვედა დარბაზში იჯდა, ზემოთ ამოვიყვანეთ, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც შევსებულიყო. ქვედა დარბაზი კი, საერთოდ დავკეტეთ. ალალად რომ გითხრათ, ეს ზარალი იყო, მაგრამ ჩვენთვის ეს პირველი ახალი წელია და მაინც გვიღირდა. სხვა დღესასწაულებიც მოდის და იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი გამოსწორდება და უკეთესობისაკენ წავა“.**

კლიენტურის სიმცირეს უჩივის რესტორან **„კრუიზის“** დირექტორი **მარინა მარუძაშვილიც**:

— ჩვენ ძირითადად საშუალო ფენას ვემსახურებით. შარშან საკმაოდ კარგი საახალწლო დღეები გვქონდა, წელსაც ველოდით შარშანდელ კონტინგენტს, მაგრამ ძველი კლიენტურა არ მოვიდა. ალბათ, ხალხსაც გაუჭირდა და აღარა აქვს იმის საშუალება, რომ დღესასწაული რესტორანში აღნიშნოს. მართალია, მომავლის იმედი გვაქვს, მაგრამ ახალი წლის პირველმა დღეებმა იმედი გაგვიცრუა.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გაყიდვების მაჩვენებლების შემცირება მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარის ბრალია, რაც უწინარესად გასართობ დაწესებულებებზე აისახება, თუმცა გია ხუხაშვილი გამორიცხავს, რომ რესტორნების კონტიგენტის შემცირებაში რაღაც ეკონომიკური საფუძვლები უნდა ვეძებოთ.

გია ხუხაშვილი: „ჩემი აზრით, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არჩია ახალ წელს ოჯახურ წრეში შეხვედროდა, ან მზა სამზარეულოს სერვისით ისარგებლა. ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის მოვლენა, რომელსაც შეიძლება ღრმა სისტემური მიზეზები ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ჩემი აზრით, რესტორნებს კონტიგენტი იმიტომ შეუმცირდათ, რომ წინა ხელისუფლების დროს ამ ტიპის დაწესებულებებში ძირითადად ჩინოვნიკები და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები დადიოდნენ, ეს მაშინ საკმაოდ პოპულარული და მიღებული ფორმა იყო. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებში კი, ამ ტიპის მოლხენა მიღებული არ არის — ისინი ერიდებიან საზოგადოებაში ამგვარი იმიჯით გამოჩენას“.

ხუხაშვილის თქმით, ეს არც მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირების ბრალია: **„კონტინგენტი, რომელიც რესტორანში დადის, ფინანსურად საკმაოდ წელგამართულია. არ ვფიქრობ, რომ იმ კონტიგენტს რაიმე ფინანსური პრობლემები ჰქონდეს. ახალი წლის რესტორანში გატარება არასოდეს ყოფილა სოციალურად დაუცველი, ან ეკონომიკურად შეჭირვებული ფენის პრივილეგია. ეს უფრო ჩინოვნიკებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა „ჰობი“ იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია სერიოზულ ეკონომიკურ ფაქტორებზე ვილაპარაკოთ. ხომ არ გამოიწვია ეს პროცესი ლარის კურსის რყევამ? — ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება იმდენად მცირე იყო, რომ არა მგონია ამას ემოქმედა, მით უმეტეს, რესტორნებზე, სადაც 200-300-პროცენტიანი ფასნამატებია, ლარის კურსის რყევა მაინცდამაინც მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა. მე მაინც ვფიქრობ, რომ წელს იმდენივე ინდაური და გოჭი შეიჭამა, რამდენიც წინა წელს, ოღონდ - ოჯახურ გარემოში — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით“...**

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ საიუბილეოდ

შთამბეჭდავი საღამო

2014 წლის ბოლოს, 29 დეკემბერს, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მეტად საინტერესო, შინაარსიანი საღამო გაიმართა, რომელიც მიეძღვნა ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 135 და გარდაცვალებიდან 90 წლისთავს. ვოკალური მუსიკის საღამოში მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ტენორი-სოლისტები, კონსერვატორიის ნიჭიერი სტუდენტები... მომღერლებმა წარმატებით შეასრულეს ქართული, რუსული, იტალიური არიები და რომანსები, რამაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მისასალმებელი სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ: თეიმურაზ გუგუშვილი, ვალერი ასათიანი, გულბათ ტორაძე, ერეკლე საღლიანი და გელა ქოქიაშვილი. გამოითქვა სურვილი, ვანო სარაჯიშვილის სახელისა და ნიჭიერების უკვდავსაყოფად დაარსდეს მისი სახელობის პრემია; ჩატარდეს ვოკალისტთა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსები; დაარსდეს ვანო სარაჯიშვილის მედალი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს; მასზე გამოიცეს სრულყოფილი მონოგრაფიული სახის წიგნი; ქალაქ სიღნაღში, სადაც ვანო დაიბადა, აღდგეს მისი სახელობის მუზეუმი და ყოველწლიურად გაიმართოს სიმღერის ფესტივალი.

ვანო სარაჯიშვილი
რადამესის როლში

გელა ქოქიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, ეკონომიკის დოქტორი, სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

◎ ალიანჩალიანი

გიორგი ქადაგიძე - ევროპის ცენტრალური ბანკის საუკეთესო მმართველი

მსოფლიოს წამყვანმა ბრიტანულმა ფინანსურმა ჟურნალმა The Banker, რომელსაც Financial Times Group ფლობს, ევროპის 2014 წლის საუკეთესო ცენტრალური ბანკის მმართველად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე დაასახელა.

„მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა, ყოველწლიურად იკვლევს და ავლენს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებს და საუკეთესო ბანკირებს 149 ქვეყანაში. გამარჯვებულთა შეფასება წინა წლის მონაცემზე დაყრდნობით ხდება. The Banker-ის ყოველწლიური დაჯილდოება ავლენს იმ ხელმძღვანელ პირებს, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას და სტაბილიზაციას საუკეთესოდ გაართვეს თავი“, — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

მათივე განმარტებით, The Banker მიიჩნევს, რომ კარგად კაპიტალიზებული და სტაბილური საბანკო სექტორი, რომელმაც აჩვენა მდგრადობა ძირითადი შოკების მიმართ, იყო მთავარი მახასიათებელი ბოლო წლების საქართველოში, იმდენად, რომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ 2014 წელს საბანკო ზედამხედველობის გამოცდილება ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და სხვა ცენტრალურ ბანკებს გაუზიარა.

გასული წლის დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ლონდონში გაიმართა, ევროპის საუკეთესო ბანკირის წოდება ჩეხ მიროსლავ სინგერს მიანიჭეს.

ფასის გაზრდის მიუხედავად, სიგარეტზე მოთხოვნილება არ შემცირებულა

როგორც სიგარეტით მოვაჭრეებმა განაცხადეს, არ შეინიშნება მაღალფასიანი სიგარეტიდან დაბალფასიან სიგარეტზე მწეველის გადასვლა. მათივე ინფორმაციით, გარკვეულ სიგარეტებზე — „პარლამენტზე“, „ჩესტერფილდზე“, L&M-ზე ფასმა 30 თეთრით მოიმატა, „ვინსტონზე“ 20 თეთრით, ხოლო ზოგიერთ სიგარეტზე მაგალითად „კენტსა“ და „ემ-ემ-ზე“ ფასი საერთოდ არ გაზრდილა.

აღსანიშნავია, რომ სიგარეტზე ფასის ზრდის მიზეზად საქართველოს მთავრობაში, მავნებლობიდან გამომდინარე სიგარეტზე მოთხოვნის შემცირებას ასახელებდნენ.

2015 წლის 1-ელი იანვრიდან ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის განაკვეთი გაიზარდა 0.15 ლარით უფილტრო სიგარეტზე, 20 ღერზე — 0.05 ლარის ოდენობით.

ინტერპრესი

◎ ალიანჩალიანი

2014 წელს საქართველოში ტურისტების უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა

2014 წელს საქართველოს 5 493 492 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს 1,9%-ით აღემატება. ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, 2014 წელს საქართველოში ტურისტების უპრეცენდენტო რაოდენობა დაფიქსირდა. ჩოგოვაძის განცხადებით, შემოსულთაგან 2 218 050 ტურისტული ვიზიტია და მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 7,4%-ია.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ, ასევე, დადებითი ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან საერთაშორისო მოგზაურების შემოდინების კუთხით. 2014 წლის მონაცემებით, ამ მხრივ კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ ლიტვა (93%-იანი მატება), პოლონეთი — (25%), ლატვია — (25%), დიდი ბრიტანეთი — (11%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსია 48%-იანი მატებით.

ინტერპრესი

ავტომანქანა თუ ტანკი?

ლიმუზინს, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა დადის, 20 სანტიმეტრის სისქის კარი აქვს.

პრეზიდენტის უშიშროების სამსახური ყველაზე მეტად თავდასხმებს უფრთხის. მისი პერსონალური ავტომანქანის საფუძვლად „კადილაკ დტს“-ი აიღეს, რომლის საბაზო მოდელი 300 ათასი დოლარი ღირს. ავტომანქანის დაჯავშნამ მის ღირებულებას დაახლოებით ოთხჯერ გადააჭარბა. მილიონ დოლარზე მეტ ფასად, „№ 1 კადილაკს“ 20 სანტიმეტრის სისქის დაჯავშნილი კარი აქვს და 12,7-მილიმეტრიანი ტყვიების და წვრილკალიბრიანი ჭურვის შეკავება შეუძლია. მანქანის დაჯავშნილი ძირი ერთდროულად რამდენიმე ხელყუმბარის აფეთქებას უძლებს, გაზის იერიშისგან იგი ჰერმეტულადაა დაცული. მას ასევე ჟანგბადის მარაგი და, საჭიროების შემთხვევაში, ობამასთვის გადასასხმელად აუცილებელი დონორის სისხლი აქვს.

„№ 1 კადილაკს“ ცეცხლსაწინააღმდეგო საკუთარი ავტონომიური სისტემაც აქვს, ასევე ბოლით შენიღბვა შეუძლია, საგანგებო საბურავების წყალობით კი მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით სიარული იმ შემთხვევაშიც შეუძლია, როცა ისინი ტყვიებითაა დახვრეტილი.

ბორბლებზე შემდგარი ეს ტანკი სამ ტონაზე მეტს იწონის, 100 კილომეტრზე კი 30 ლიტრზე მეტ ბენზინს წვავს.

მარილის... მთვარე

ერთ-ერთი ასტრონომიული ჰიპოთეზის თანახმად, მთვარე, დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი, მისი ნაგლეჯია, რომელიც მას კოსმოსური კატასტროფის შედეგად მოწყდა, 300 ათასი კილომეტრით „გატყორცნის“ შემდეგ კი მან საკუთარი ფორმა და იერ-სახე მიიღო. ამ თეორიის თანახმად, წყნარი ოკეანის მთელი ფსკერი სხვა არაფერია, თუ არა ამის შედეგად წარმოშობილი, თუმცა კი მერე, დროთა განმავლობაში, შეხორცებული ჭრილობაა.

დღესდღეობით დედამიწაზე იმდენი მარილია, რომ მთვარეზე ოდნავ მცირე ზომის კოსმოსურ სხეულსაც ეყოფოდა. საშუალოდ, მარილი ერთ ლიტრ წყალში 30 გრამის ოდენობითაა გახსნილი და ამ სახით იგი დედამიწის სამ მეოთხედს ფარავს, თანაც ეს შიდა ზღვების, მლაშე ტბებისა და მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეში ქვამარილის საბადოების გამოკლებით!

ზღვის წყლის საერთო მოცულობა მილიარდ 370 მილიონ კვადრატულ კილომეტრს უდრის, რომელიც პლანეტაზე 373 მილიონ კვადრატულ კილომეტრზეა განაწილებული. იმის გამო, რომ ეს წყლები საშუალოდ სამ პროცენტ მარილს შეიცავენ, მაშინ გახსნილი მარილის წონა დაახლოებით 40 ათასი მილიონი ტონა უნდა იყოს. თუკი წარმოვიდგენთ, რომ მთელი ეს გახსნილი მარილი ქვამარილად გადაიქცევა (რომლის სიმკვრივეა 2,165) და დედამიწის ზედაპირის 510 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე განაწილდება, მაშინ პლანეტა 37 მეტრის სისქის მარილის ფენით დაიფარება.

16 საათი კაშალოტის მუცელში

ბიბლიურმა წინასწარმეტყველმა იონამ უზარმაზარი თევზის მუცელში სამი დღე-ღამე გაატარა. საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მსგავსი ამბავი ერთ ინგლისელ მეზღვაურს გადახდა თავს.

1861 წელს ბრიტანული ვეშაპრეწი გემი „დასავლეთის ვარსკვლავი“ ფოლკლენდის კუნძულების მახლობლად კაშალოტს გადაეყარა. ცხოველის მოსანადირებლად წყალში ორი ველბოტი ჩაუშვეს. მართალია, ცხოველს ჰარპუნი მოარტყეს, მაგრამ მან კუდის დარტყმით ერთ-ერთი ნავი დალეწა. წყლიდან ყველა მეზღვაურის ამოყვანა შეძლეს, გარდა ჯეიმს ბარტლისა.

კაშალოტის მონადირება ვერ შეძლეს, მაგრამ იგი მაინც ნახეს მკვდარი, რადგან ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. მეზღვაურები უზარმაზარი მკვდარი ცხოველის სხეულის დანაწევრებას შეუდგნენ, მაგრამ კუჭს რომ მიადგნენ, ნახეს, რომ ის უცნაურად იკლანკებოდა. როცა კუჭი გაკვეთეს, შიგნით... ცოცხალი ჯეიმს

ბარტლი აღმოაჩინეს, რომელიც უგონოდ იყო! ორი კვირის მანძილზე საბრალო მეზღვაური შეურაცხადი იყო, ვერ მეტყველებდა და ვერავის ვერ ცნობდა. მაგრამ, მესამე კვირის მიწურულისთვის, იგი იმდენად მოყოჩაღდა, რომ თავისი მოვალეობების შესრულებასაც შეუდგა.

ამ ამბის შემდეგ ბარტლი მეზღვაურობას შეეშვა, იგი 39 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მშრალი ელვის მსხვერპლი

ციმბირში, იმიერბაიკალეთში, უღრუბლო, მზიან დღეს ელვამ... კაცი იმსხვერპლა!

სამართალდამცველთა ინფორმაციით, 25 წლის მამაკაცი, ერთი წლის ვაჟიშვილთან ერთად, ტბა სოდოვოეს ნაპირას სეირნობდა. მოულოდნელად იელვა, მეხი გავარდა და უბედური კაცი ადგილზევა გათავდა, ბავშვი კი გადარჩა.

– სავარაუდოდ, კაცი მშრალმა ელვამ მოკლა, –ასე ხსნიან მომხდარს მეცნიერები. – მის არსებობას არა მარტო თვითმხილველთა ჩვენებები ადასტურებენ, არამედ არსებობს ამის დამადასტურებელი ვიდეოკადრებიც. სხვა საქმეა, რომ ამ მოვლენის მსხვერპლთა შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობა ამ დრომდე არ ყოფილა.

თუმცა, სწავლულები არც იმას გამორიცხავენ, რომ მამაკაცი არანაკლებ იშვიათი მოვლენის, სფეროსებრი ელვის მსხვერპლი გახდა.

„მხიარული“ სურნელების თანხლებით...

საფრანგეთში შეიმუშავეს სამედიცინო პრეპარატი, რომელიც ადამიანის მიერ გაშვებულ გაზებს... სასიამოვნო სუნს აძლევს.

ორგანიზმში გაზების წარმოქმნა – საჭმლის მონელების თანმხლები ბუნებრივი პროცესია, რომელიც მსხვილ ნაწლავში მობინადრე ბაქტერიების მიერ ცილებისა და ნახშირწყლების დაშლის შედეგია.

ზოგიერთი დაავადების დროს და ძნელად მოსანელებელი საკვების მიღების შემდგომ, გაზების წარმოქმნის პროცესი ძლიერდება, სუნი კი მძაფრდება. ბუნებრივი სუნის შეცვლა რთულია, მაგრამ საჭმლის მონელების პროცესის მოწესრიგებით შესაძლებელია გაზების წარმოქმნის პროცესის დარეგულირება.

ახალი პრეპარატის შემადგენლობაში კი სწორედაც საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი პრეპარატები შედის.

ნანორობოტების ეპოქის განთიადი

ავტორიტეტულმა სამეცნიერო ჟურნალმა „ნეიჩურ ნანოტექნოლოჯიმ“ რუსეთელ მეცნიერთა ჯგუფის სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ მათ ისეთი მიკრო და ნანონაწილაკების შექმნა შეძლეს, რომლებსაც ბიოქიმიური რეაქციების წყალობით ლოგიკური გამოთვლების ჩატარების უნარი აქვთ.

– ეს მიმართულება მთელ მსოფლიოში ამჟამად ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება, – ამბობს გამოკვლევის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი მაქსიმ ნიკიტინი. – ჩვენ ვთავაზობთ და ექსპერიმენტულად ვასაბუთებთ ხერხს, რომლითაც მიკრო ან ნანონაწილაკს ნებისმიერი ლოგიკური ფუნქციის შესრულება შეუძლია. ეს კი მათ მოქცევაზე სრულიად ახლებური კონტროლის დამყარების შესაძლებლობას მოგვცემს. პერსპექტივაში კი ამ მეთოდს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ორგანიზმის დაზიანებულ (ვთქვათ,

სიმსივნური წარმონაქმნით) უჯრედში წამლის მიზნობრივ მიწოდებაში, სისხლის ანალიზების ახალი მეთოდების შემუშავებაში.

ეს დიდი ნაბიჯია ნანორობოტების შექმნის საქმეში.

გონების ძილი ურჩხულებს შობს

შვეიცარიელმა მეცნიერებმა იმის ახსნა შეძლეს, თუ რატომაა, რომ ზოგიერთი ადამიანები ძილში დემონებსა და ავ სულებს ხედავენ.

მათ ნერვული სისტემის აშლილობით დაავადებული 12 კაცი შეისწავლეს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მოჩვენებებს შეხვედრიან. ყველა მათგანს ფიზიოლოგებმა შუბლისა და თავის ქალის თხემის, კუნძულოვანი და საფეთქელ-თხემის ქერქების მუშაობაში დარღვევები დაადგინეს.

გამოსაცდელებს თვალებს უხვევდნენ და წინ წაწეული ხელების მოძრაობას სთხოვდნენ. მოხალისეთა ზურგს უკან რობოტი იდგა, რომელიც კაცის ზურგზე შეხების მეშვეობით მის მოძრაობებს იმეორებდა. როცა გამოსაცდელები რობოტს ეჩვეოდნენ, მეცნიერები ადამიანისა და რობოტის მოძრაობების სინქრონულობას არღვევდნენ. ნახევარწამიანი შეყოვნებაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ადამიანებს „რაღაც იმქვეყნიურის შეგრძნება“ გასჩენოდათ. ზოგიერთმა მათგანმა კი, მოჭარბებული განგაშის მდგომარეობის გამო, სულაც ექსპერიმენტის შეწყვეტა მოითხოვა.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ გამოსაცდელებმა მოჩვენებები ქალა ტვინის იმ უბნების მუშაობის დარღვევის გამო დაინახეს, რომლებიც თვითშეგნებაზეა პასუხისმგებელი. არსებითად, ისინი საკუთარ ჟესტებს სულთა გადაადგილებად აღიქვამდნენ.

დედამიწის ზურგზე

მექსიკაში ძალაძის დაპატიმრებული მერის ცოლიც ჩასვეს ციხეში

მარია დე ლოს ანხელეს პინედე ეჭვმიტანილია ფულის გათეთრებასა და დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზაციაში. იგი ქალაქ ტეპიკის ციხეში ჩასვეს. მარია პინედეს ქმარი – ქალაქ იგუალას ექსმერი ხოსე ლუის აბარკა ასევე რიკულებს მიღმაა, მისი ბრალდებაა 43 სტუდენტი-მანიფესტანტის გაქრობა.

* * *

დუბაიში დაამზადეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ოქროს ძეწკვი – მისი სიგრძე 5 კილომეტრზე მეტია

ძეწკვის დამზადება დაუკავშირეს დუბაიში რიგით მეოცე სავაჭრო ფესტივალს. ამ პერიოდის განმავლობაში მყიდველებს მაღაზიებსა და სავაჭრო ცენტრებში საშუალება ეძლევათ შეიძინონ საქონელი 70 პროცენტამდე ფასდაკლებით და აქვე ეწყობა პრიზების გათამაშება.



* * *

ბრაზილიაში ორი მატარებელი შეეჯახა ერთმანეთს – დაზიანდა 140-ზე მეტი კაცი

ინციდენტი მოხდა 5 მაისს საღამოს მექსიკის მუნიციპალიტეტში სადგურზე „პრეზიდენტი ჟუსელინა“. გაჩერებულ საქალაქთაშორისო მატარებელს დაეჯახა შემადგენლობა, რომელიც მის შემდეგ მოდიოდა. ავარიის მიზეზები უცნობია.

* * *

დონბასში ათზე მეტი სამხედრო მოსამსახურე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მსხვერპლი გახდა

სამხედრო ავტომობილ „კრაზისა“ და ავტობუს „ბოგდანის“ შეტაკების შედეგად დაიღუპა 12 კაცი, ამტკიცებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. სხვადასხვა მონაცემებით, დაზარალდა 18-დან 22-მდე მებრძოლი. ისინი არტიომოვსკის საავადმყოფოში გადაიყვანეს. სავარაუდოდ, ავარიის მიზეზი ცუდი ამინდის პირობები გახდა.

* * *

ებოლის ციებ-ცხელებისგან უკვე 8 ათას კაცზე მეტი დაიღუპა, განაცხადეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 5 იანვრისთვის მომაკვდინებელი ვირუსისგან დაიღუპა 8153 კაცი და კიდევ დასნებოვნდა 20656. ლიბერიაში სასიკვდილო დაავადების მსხვერპლი გახდა 3471 კაცი, სიერალეონეში – 2915, გვინეაში კი – 1767. წლის დასაწყისიდან დაღუპულთა რაოდენობა 164 კაცით გაიზარდა, ინფიცირებულებისა კი – 275-ით.

ქალაქი ლოდი: წმინდა გიორგის ეკლესია და მეჩეთი

...თვითმფრინავმა ცაზე წრე შემოხაზა და დასაჯდომ ბილიკს გაუსწორა მზერა. ტანწერწეტა ბორტგამცილებელმა გვაუწყა:

— ჩვენი მოგზაურობა დასასრულს მიუახლოვდა!... ვეშვებით ქალაქ ლოდში მდებარე ბენ გურიონის სახელობის აეროპორტში!... ქალაქი ლოდი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში მოიხსენიება მატიანეში. მასთან მრავალი ლეგენდა და გადმოცემაა დაკავშირებული... როგორც ბიბლიური ფოლიანტები ამბობენ, სწორედ აქ მოიჭრა მსოფლიოში პირველი ვერცხლისა და ოქროს მონეტები, მაგრამ ორთოდოქსი მორწმუნეებისათვის ამ ქალაქში, ყველაზე დიდი სიწმინდე და ღირსშესანიშნაობა გახლავთ, წმინდა გიორგის საფლავი!... სასიამოვნო დასვენებას გისურვებთ!...

... მას შემდეგ უკვე ერთ კვირაზე მეტი გავიდა, ამ ხნის მანძილზე მოვიარეთ პალესტინისა და ისრაელის წმინდა ადგილები, ვეწვიეთ ჯვარსა და რუსთაველს, ნაზარეთსა და თაბორს, იორდანესა და კაპერნაუმს, ბეთლემსა და „ვია-დოლოროსას“... იერუსალიმში გული მოვიოხეთ „გოდების კედელთან“ და გეთსემანიის აღმართს რომ მივუყვებოდით, თავი შემახსენეს უბის წიგნაკში ჩანაწერებმა.

ვახუშტი ბატონიშვილი: — „მონასტერი გეტსემანა... გუმბათიანი, კეთილშენი, საწინამძღვრო!..“ ... წამით გამიელვა ძირულას ხეობამ, მისმა შენაკადმა უხადიმ და საქართველოს გეთსემანიამ! ...მადლობა უფალს, რამდენია ჩვენს მამულში წმინდა ადგილად სახელდებული სალოცავები!... ოდითგან დაუარსებიათ სოფელ ხუნევთანაც ქართველთ სალოცავი, გეთსემანიისა!...

საყდარი მეცხრამეტე საუკუნეში გადაუკეთებიათ. მეოცე საუკუნეს, როგორც სხვებისა, მრავალთა, „მიუფუჩეჩებია“ სახელი მისი და, მადლობა უფალს, სადღეისოდ კვლავ აღმსდგარა ფერფლითგან!...

...ხუნევიდან კვლავ ვუბრუნდები წმინდა მიწას და ახლა, კვლავ ამაყად ვდგავართ მაცხოვრის ნატერფალზე!

...რეჰოვოტიდან ლოდში ჩამოგვაბრძანა კომფორტულმა რკინის გზის ლაინერმა.

ერთობ პირქუში მეჩვენა ქალაქი. არავის აინტერესებდა, ვინ საიდან ჩამოვიდა, ვინ სად მიდის. ყველა თავის „ბილიკს“ მიუყვებოდა და ციდან თაკარა მზე აცხუნებს!

...ქალაქის მთავარ მოედანზე ვდგავართ. მოშორებით მეჩეთი აღმართულა. გვერდით ქრისტიანულ ბაზილიკას მივამსგავსე ნაგებობა. მხოლოდ გალავანი ყოფს მათ ერთმანეთისგან... ვერ წარმოვიდგენდი მუსულმანური და ქრისტიანული სალოცავების ასეთ სიახლოვეს.

— აი, ის, მარცხნივ რომ აღმართულა, არის წმინდა გიორგის ტაძარი!... — იას სიტყვებმა გამომაფხიზლა ფიქრებიდან.

იგი რამდენჯერმე არის ნამყოფი აქ და იცის აქაური სამანები.

...გონებაში ამიფეთქდა არაერთხელ წაკითხული და გაგონილი:

„...არ გატყდა ქრისტესთვის თავდადებული გმირი. მიუხედავად უამრავი წამებისა, ბოლომდე იქადაგა ჭეშმარიტი ღმერთი და ათასობით მორწმუნის გულში საუკუნოდ დაიმკვიდრა ბინა!...“.

გიორგის მამის, წმინდა გერონტიოსის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა გიორგის დედამ წმინდა პოლიხრონიამ თავის ბაბათში, პალესტინაში დაიმკვიდრა სული და ხორცი და აქედან აღავლენდა ლოცვებს შვილის დიდებისათვის.

დიდება კი, წმინდა გიორგისი, მოდიოდა დიდებით!

გიორგიმაც მთელი თავისი უნჯი ქვრივ-ობლებს დაურიგა და შეუდგა გმირობითა და სასწაულებით აღსავსე ქრისტიანობისკენ აღმავალ ცხოვრების გზას.

...და, როცა მიებარა უფალს, ანდერძის თანახმად, თავის დედულეთში, პალესტინის ქალაქ რამალაში დაკრძალეს სწორუპოვარი დიდებით და შეიქნა იგი კურნებისა და სასწაულების სიმბოლოდ.

...და მალე დადგა ჟამი მადლმოსილებისა მოციქულთა სწორთა იმპერატორ კონსტანტინესი და დედოფლისა ელენესი!

...იერუსალიმთან ახლოს, ქალაქ ლოდში (დიოსპოლისში) აღიმართა წმინდა ტაძარი და აქ გადმოასვენეს წმინდა ნაწილები წმინდისა გიორგისი! სწორედ აქედან, კიდევ უფრო მოეფინა მთელს სამყაროს უძლეველი მხედრის დიდება და მოციქულთა სწორთა, კონსტანტინესი და ელენეს მადლმოსილებაც. დაიწყო ქრისტეს ტაძართა და სალოცავთა დიდი მშენებლობები ხმელთაშუა ზღვის გაღმა-გამოღმა.

...და დადგა ხანა, რომელიც უკუნითი უკუნისამდე ადიდებდა ქრისტეს!

...ვდგევარ, ახლა, ამ წმინდა ქალაქის მთავარ მოედანზე და კვლავ თვალს და გონებას ვავლებ მატიანის ცალკეულ ფრაგმენტებს.

ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს გარდა ამდენი ღვაწლი არავის შეუწირავს ქრისტიანობისთვის, რამდენიც მადლმოსილ დედა-შვილს!

მათგან მორთმეული საწმინდეთა ნუსხა ერთი-ათასად ღირებული იყო კავკასიაში პირველი ქრისტიანული საქართველოსთვის.

მოციქულთა სწორმა დედა-შვილმა მირიან მეფესა და დედოფალ ნანას უძვირფასესი საგანძური გამოუგზავნეს, — სამსჭვალნი და ნაწილები წმინდა ჯვრისა, ცხოველმყოფელი ხატი მაცხოვრისა და, ფიცარი, რომელზედაც იდგა მაცხოვარი ჯვარცმის წინ!

... მანამდეც თანდათან, მოედინებოდა ისტორია ქრისტიანობისა კოხურ-იბერიულ მიწაზე.

ჯერ კიდევ, ნაბუქოდონოსორის დროს, „ხალონი“ (ცხვრის ტყავისგან დამზადებული მოსასხამი) ჩამოიტანეს ლტოლვილმა ებრაელებმა საქართველოში და იგი, როგორც ამბობენ, დღესაც სვეტიცხოვლის წმინდა ილია წინასწარმეტყველის ეკვდერშიაო დაფლული.

მერე იყო და, ქრისტეს ჯვარცმის მომსწრე, მადლმოსილმა ელიოზმა მცხეთაშივე ჩამოაბრძანა კიდევ ერთი უწმინდესი სიწმინდე, — იესო ქრისტეს უქსოვი კვართი!...

...კოლხეთის მიწაზე კი, მოწამებრივი რუდუნებითა და დიდებით დააბიჯებდნენ ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი და მატათა!

...მარჯვნივ მუსლიმანური მეჩეთია... მარცხნივ ტაძარი წმინდისა გიორგისა!

11. წმინდაო მოწამეო, დაგვიფარე შენ!

კიდევ ერთხელ ვიტყვი: — საოცარია ჩემთვის, მაგრამ ასეა!... გვერდიგვერდ ლოცულობენ მუსლიმანნი და ქრისტიანენი!

მოწამეთა სწორმა კონსტანტინემ და ელენემ მეოთხე საუკუნის დასაწყისში ააგეს აქ ბიზანტიური ტიპის ქრისტიანული ტაძარი!

მეშვიდე საუკუნეში სპარსთა დაანგრიეს იგი!

მეთვრამეტე საუკუნეში აღადგინეს ისევ!

მეცხრამეთე საუკუნეში იავარჰყვეს კვლავ და, იქვე, გვერდით აშენდა მეჩეთი „ელ-ომერ“, რომელიც დღესაც ითვლება მთავარ მეჩეთად ლოდში.

1871 წელს, იერუსალიმის მართლმადიდებელ ბერძენთა საპატრიარქომ მიიღო ნებართვა და აღსდგა მართლმადიდებლური სალოცავი წმინდა გიორგის საფლავზე!...

...მოწიწებით ვახებ ხელს ტაძრის დიდებულ კარებს, მაგრამ... დაკეტილია!

...მეჩეთში კი, თამამად ისმის მოლას ღაღადისი!

ვიღაცამ გამოიარა და გვანიშნა, — ვიწრო ქუჩის მეორე პირზე, დაგვეკაკუნებინა ალაყაფის ერდოზე!

...მოკრძალებით ვაკაკუნებთ.

კარები ფართოდ იღება და სათნოებით აღსავსე დედამ იცნო სტუმარი მისი, — დედაომ სათნოებითვე მოიკითხა იგი და წაგვიძღვა აღსავლისაკენ.

გულღიად იღება ტაძრის კარები!

— დიდება მაცხოვარს!... დიდება შენდა, წმინდაო გიორგი!... დიდება შენდა!...

ტაძარში საოცარი სიმშვიდე სუფევს. წმინდა ხატებიდან იღვრება მადლი და... ოცნებებმა კვლავ ამოხეთქა ჩემი გონებიდან:

...უძველეს ლაზეთში, ტრაბზონთან ახლოს, სურმანის მიწაზე დიდი ზეიმი აქვთ, ალბათ, ახლა, ჩვენს წინაპართა სულებს! სურმანთა გვარი ევედრება სურმანელ უძლეველ მხედარს კოლხეთისა და ერთობილი საქართველოს სიმშვიდეს!

მაპატიოს უფალმა სითამამე, მაგრამ... მგონია, სურმანთა გვარისა იყო თეთრი გიორგი!

...და ეს ახარებთ დღევანდელ სურმანიძეებსა და სურმავებსაც, ალბათ!

...ღვთიური საფეხურებით ჩავდივართ წმინდა ტომბისკენ.

წმინდა საფლავის ძლევამოსილი ლოდიდან მირონი გადმოედინება. გულსაკიდ ჯვარს ვახებ მას და ჩუმი ხმათაღებით ვეამბორები უწმინდეს საფლავს.

„...ტყვეთა განმანთავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთაგან უძლეველო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთა!“

იეღუმენია დაგვაცილებს ტაძრის კედელთა შინა და წმინდა გიორგის ავედრებს ჩვენს მამულს:

სახეზე ღიმილი და კდემა მოჰფენია.

— დედაო, ხშირად ლოცულობენ აქ, ქართველები?

— დაგლოცათ უფალმა, აწ და მარადის!... ერთი ქართულლი ოჯახი ცხოვრობს ჩვენს ქალაქში... ქეთევანი ჰქვია დალოცვილ დედას!... ყოველ შაბათ-კვირას ის ეახლება წმინდა გიორგის ტომბს და ლოცულობს... შაბათ-კვირას ის მეხმარება ტაძრის საქმეებში!... ჩვენთან, სამწუხაროდ, კვირაში ერთხელ მობრძანდება მოძღვარი და მხოლოდ მაშინ ტარდება მსახურება... გიორგობის დღეებში კი, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ქართველები საქართველოდან... სხვა დროს ჩუმად ვლოცულობთ!...

...„სხვა დროს“ კი, ქეთევანისგან იცნობს ქართველებს დედაო და უხარია, რომ ქეთევანი მაინც სტუმრობს წმინდა გიორგის სასუფეველს, ხანდახან.

...ო,ო, როგორ ვინატრე ქართველი მოძღვრის ღაღადისი სურმანელი წმინდა მხედრის ტაძარში, მაინც!...

...აქაც აღწევს ხმა მეჩეთიდან!...

...მაგრამ ფარავს მას ხმა ყიჟინისა ლაზეთიდან, კოლხეთიდან, იმერ-ამერიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან და კახეთიდან, სრულიად საქართველოიდან!

აქ, ამ მისანდობაში, თითქოს, შადრევნად იფქვევა სხივმოსილება შარავანდედი წმინდა ლუსკუმიდან. თითქოს აქ ბრძანდებიან ჯგეგეს და ჯგირაგის, ილორისა და ლაშარის, ლომისისა და ხახმატის, ალავერდისა და სრულიად საქართველოის 365 (თუ, 363) თეთრ რაშზე ამხედრებული სახება წმინდისა გიორგისა. აქვე ჩამესმის, ერთად ასიტყვებული ხმა სიმონ დეკანოზისა და დათუნა ქვარიანისა, ვაჟა-ფშაველასი და ფერეიდნელ და ქართველ ზეპირმესიტყვეთა, რომელიც ადიდებს და აქებს გლახაკთა განმკითხველს, ჩაგრულთა მეოხესა და მფარველს!

„...გზაზე ჯგეგე მოდიოდა,
ჯგეგე წმინდა ილორისი,
ხელთ ეჭირა მათრახი და,
წელზე ერტყა ხმალი მისი.
...და გაფანტა უწმაწურნი,
ხმალს ერთიც ვერ გადაურჩა,
ენგურს გაღმა და გამოღმა,
სიყვარული მოაქუჩა.“

* * *

„...ფერეიდანში ლოდი განიხვნა,
თეთრი გიორგი მობრძანდა,
წინა გაუძღვა ლაშქარსა,
შარავანდედი მოსავსა.“

...კვლავ განიხვნა მადლმოსილი კარები ტაძრისა. კიდევ ერთხელ აღავლინა ლოცვა იღუმენიამ.

ოცამდე ბავშვი და ორიოდე მასწავლებელი ელოდებოდნენ აღსავლის კარების შეღებას.

— ბერძენ მართლმადიდებელთა და სომხური სასულიერო სასწავლებელთა ყმაწვილები გვსტუმრობენ ხშირად!... ახლა, თქვენ მოგეკრძალნენ და გელოდებოდნენ, რომ არ შეეწუხებინეთ!...

სათნოებით მიესიყვარულა დედაო მათ და გზა დაგვილოცა.

— მუდამ ღია იქნება თქვენთვის კარები ამ სიწმინდისა!... კეთილი იყოს თქვენი ლოცვა ამ წმინდა ტაძარში!...

ბავშვები თავდახრილები შეილალნენ წმინდა ჭერქვეშ.

... გული დამწყდა, რომ ქართველი ბავშვები ვერ ვნახე მათ შორის!

...იდგა დღე 6 მაისისა, წმინდა გიორგის თავის კვეთის დღე!

წმინდაო მოწამეო, დაგვიფარე შენ!

ზაურ ფიფია.

ია ფიფიას ფოტო.

(გაგრძელება იქნება).

წმინდა გიორგის საფლავთან

წმინდა გიორგის ლუსკუმი

◎ ძიუდო

ჭრიკიშვილი უპირობო ლიდერია

ახალი სეზონის დაწყების წინ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ 2013-2014 წლების ყველა საერთაშორისო ტურნირის შედეგები შეაჯამა და კიმონოიანთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ვაჟებში შვიდი წონითი კატეგორიიდან ორს ქართველები მეწინავეობენ – ევროპის და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ვარლამ ლიპარტელიანი (90). შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 60 კილოში ამირან პაპინაშვილი სტაბილურად ინარჩუნებს წამყვან სამეულში ადგილს ისე, რომ ტრავმისშემდგომი სარეაბილიტაციო პროცესის გამო ერთ ტურნირშიც არ უასპარეზია. კლასიფიკაციაში ქართველთაგან მესამეა მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი. სწორედ ეს ძიუდოისტები მოხვდნენ მსოფლიოს საუკეთესო ათეულის სიაშიც, რომლის უპირობო ლიდერია ჭრიკიშვილი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რეიტინგებს რიო-2016-ის ლიცენზიების მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მსოფლიოს რეიტინგი. ვაჟები

60 კგ. 1. ბოლდბაატარ განბატი (მონგოლეთი, 2676 ქულა), **2. ამირან პაპინაშვილი (2280),** 3. ნაოჰიშა ტაკატო (იაპონია, 1960).

66 კგ. 1. მიხაილ პულიაევი (რუსეთი, 1961), 2. მასაში ებინუმა (იაპონია, 1800), 3. კარლეს ჩიბანა (ბრაზილია, 1800), **48. შალვა ქარდავა (394), 65. ლაშა შავდათუაშვილი (266).**

73 კგ. 1. დექს ელმონი (ჰოლანდია, 1880), 2. ვიქტორ სკვორცოვი (აგს, 1640), 3. საგი მუკი (ისრაელი, 1636), **13. ნუგზარ ტატალაშვილი (1164), 29. ლაშა შავდათუაშვილი (588), 30. ზებედა რეხვიაშვილი (572).**

81 კგ. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (3610), 2. ანტუან ვალუა-ფორტიე (კანადა, 1936), 3. ვიქტორ პენალბერი (ბრაზილია, 1784).

90 კგ. 1. ვარლამ ლიპარტელიანი (2470), 2. კრისტიან ტოტი (უნგრეთი, 2007), 3. ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური, საბერძნეთი, 1941).

100 კგ. 1. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი, 2588), 2. სირილ მარე (საფრანგეთი, 2246), 3. კარლ-რიჰარდ ფრეი (გერმანია, 1670), **36. ალექსანდრე მსხალაძე (336).**

+100 კგ. 1. ტედი რინერი (საფრანგეთი, 2500), 2. რაფაელ სილვა (ბრაზილია, 2302), **3. ადამ ოქრუაშვილი (2021).**

აბსოლუტური რეიტინგი. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (3610), 2. ბოლდბაატარ განბატი (მონგოლეთი, 2676), 3. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი, 2588), 4. ტედი რინერი (საფრანგეთი, 2500), **5. ვარლამ ლიპარტელიანი (2470).**

ლეძსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

„დინამო“ ანთალიაში მიიწვიეს

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ ანთალიაში ტურნირზეა მიწვეული. შეჯიბრების გამარჯვებული 20000 ევროს მიიღებს.

თბილისელთა გარდა ორგანიზატორებმა ავსტრიის „შტურმი“, ჩეხეთის „სპარტა“, სლოვენიის „მარიბორი“, სერბეთის „პარტიზანი“ და ბულგარეთის „ლიტექსი“ დაპატიჟეს.

ტურნირი სტარტს 31 იანვარს აიღებს. რაც შეეხება „დინამოს“, თბილისელები ახალი სეზონისთვის მზადებას 10 იანვარს შეუდგებიან.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

„ლელო სარასენსის“ მწვრთნელები ინგლისში არიან



საქართველოს ჩემპიონის – „ლელო სარასენსის“ მწვრთნელები ლევან მაისაშვილი და მიხეილ სუჯაშვილი ახალი წლის დღეებში ინგლისში გაემგზავრნენ და პარტნიორი კლუბის „სარასენსის“ მუშაობის სტილს ადგილზე ეცნობიან.

ეს სტუმრობა ქართულ და ინგლისურ კლუბებს შორის ზაფხულში გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილია. თბილისს უკვე სტუმრობდნენ „სარასენსის“ შერკინების მწვრთნელი და აკადემიის მენეჯერი, ამჯერად კი საპასუხო ვიზიტის დრო დადგა.

ქართველი მწვრთნელები ბრიტანეთს 2 იანვარს ეწვივნენ და მომდევნო დღეს „სარასენსისა“ და „ლონდონ აირიშის“ თამაშს დაესწრნენ (22:6). გამომგზავრებამდე მაისაშვილი და სუჯაშვილი პრემიერშიპის კიდევ ერთ შეხვედრას იხილავენ ცოცხლად – 10 იანვარს „სარასენსი“ „გლოსტერს“ ეთამაშება. გარდა ამის, ისინი უშუალოდ ესწრებიან გუნდის მზადების პროცესს, ეცნობიან აკადემიის მუშაობის სტილს და, შეიძლება ითქვას, ეს კვირა სრულად „სარასენსის“ ცხოვრებით ცხოვრობენ.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

კარლოვიჩი პირველობას უმიზნებს

მსოფლიო რეიტინგსიის 27-ე ნომერმა, ხორვატმა ივო კარლოვიჩმა დოჰას ტურნირის პირველ წრეში ჩეხ ლუკაშ როსოლს 7:6, 6:4 მოუგო, მატჩის მსვლელობისას 27 ეისი შეასრულა და კარიერის განმავლობაში ამ საჩოგბურთო ელემენტის შესრულების რაოდენობა 9022-მდე აიყვანა.

ეისების რაოდენობით კარლოვიჩს მხოლოდ 2 მოთამაშე უსწრებს. ივოს თანამემამულე გორან ივანიშევიჩს ჩოგბურთელთაგან ყველაზე მეტი, 10183 ეისი შეუსრულებია, ამერიკელი ენდი როდიკის ანგარიშზე კი 9074 ეისია.

„კარიერის დასრულებამდე შეძლებისდაგვარად მეტი ეისის შესრულება მსურს. ვიმედოვნებ, პირველ ადგილზე გადასვლას შევძლებ“, – განაცხადა კარლოვიჩმა როსოლთან მატჩის დასრულების შემდეგ. შარშან კარლოვიჩმა 1185 ეისი შეასრულა.

Qatar ExxonMobil Open-ის მეორე წრეში კარლოვიჩი ნიკოლოზ ბასილაშვილისა და რუსი მიხაილ იუჟნის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რალი

დაკარი დაიწყო და ჩემპიონი ტიტულს უკვე დაეშვიდოზა

დაკარის რალი-მარათონს პირველივე სპეცმონაკვეთზე არ იგებენ, მაგრამ სტარტზევე გამარჯვების დაკარგვის შანსი დიდია. სწორედ ასე მოუვიდა შარშანდელი რბოლის გამარჯვებულს ესპანეთიდან ნანი რომას. „მინით“ მოასპარეზე ჩემპიონს სტარტიდან რამდენიმე კილომეტრში ავტომობილი დაუზიანდა და მის რემონტზე რამდენიმე საათი დაკარგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასწაული თუ შეანარჩუნებინებს ტიტულს.

თუმცა, ლიდერობა მაინც „მინის“ ეკიპაჟის ხელშია. წინ ყატარელი ნასერ ალ-ატია გაიჭრა, ვისაც დაკარი ერთხელ (2011 წელს, „ფოლკსვაგენის“ მანქანით) უკვე მოგებული აქვს. პირველ სპეცმონაკვეთზე, რომელმაც სტარტი ბუენოს აირესში აიღო და 175 კილომეტრის შემდეგ ვილა კარლოს პაზში დამთავრდა, მან 22 წამით აჯობა არგენტინელ თანაგუნდელ ორლანდო ტერანოვას.

მესამე დრო კი ამერიკელ რობი გორდონს ჰქონდა, რომელიც უკვე მერამდენე წელია, უშედეგოდ იბრძვის დაკარზე გამარჯვებისთვის. ალ-ატიას ის წუთით ჩამორჩა და თავად უკან ჩამოიტოვა „ტოიოტათი“ მოასპარეზე ჟინიელ დე ვილიერსი. რაც შეეხება „პეჟოს“ ეკიპაჟებს, მათგან ყველაზე სწრაფი, დაკარის ორგზის ჩემპიონი კარლოს საინსი მხოლოდ მერვე დროს დასჯერდა, თუმცა ლიდერთან მხოლოდ ორ წუთს აგებს, რაც დაკარზე პრაქტიკულად არაფერია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

მარიოს ჭეშმარიტი ფანი

გსმენიათ რაიმე ჭეშმარიტი სიყვარულის შესახებ? გსურთ ვისაუბროთ ჭეშმარიტ ტრფობაზე? მაშინ უპირველესად უნდა ვახსენოთ მშვენიერი ქალი, სახელად ფანი ნეგუეშა, რომელიც ერთ დროს შავტუხა იტალიელი მეგოლის მარიო ბალოტელის მუზა და სატრფო იყო.



გამოხდა ხანი, მარიომ სათამაშოდ კვლავ მიაშურა ნისლიან ალბიონს, სადაც წასვლაზე მოდელმა და მისმა გულისსწორმა – ფანი ნეგუეშამ უარი განაცხადა და მათი ვნებიანი სიყვარულისა და ჯაჯგურის ისტორიაც თითქოს აქ დასრულდა. მით უმეტეს, რომ წყვილმა ოფიციალურად განაცხადა დაშორების შესახებ.

ფანი და მარიო არც ახლა დაბრუნებიან ერთურთს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ იტალიელი ჟურნალისტები ამ ცოტა ხნის წინათ ბევრს ეცადნენ, თუმცა ფანი ნეგუეშას მის ყოფილ შავტუხა სატრფოზე აუგი ვერა და ვერ დააცდენინეს. ასეთ დროს კი, მოგეხსენებათ, მიტოვებული ქალები რეებსაც ლაპარაკობენ ხოლმე. შეიძლება მარიო დღესაც უყვარს ამ ქალს და რა ქნას? სიყვარულს რას გაუგე, ბატონო ჩემო...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პრემიერლიგა

ვან გაალი: „მანჩესტერი“ ჯერ კიდევ ცუდად გამოიყურება... ეს ჩემი ბრალია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის ლუი ვან გაალის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „წითელმა ეშმაკებმა“ რამდენიმე თამაში ზედიზედ მოიგეს და გულშემატკივრები გაახარეს, შედეგი მაინც არასახარბიელოა,. წარუმატებელ თამაშზე პასუხისმგებლობას კი ჰოლანდიელი ლოგიკურად საკუთარ თავზე იღებს.

„თავიდან რთული პერიოდი გამოვიარეთ, 11 მატჩში 13 ქულა გვქონდა და როდესაც სტადიონზე შევედი, ვიფიქრე, ხალხი დამისტვენდა, თუმცა გულშემატკივრები ტაშით შემხვდნენ. ბედნიერი არ ვარ, რადგან პასუხისმგებელი და ამგვარი შედეგის გამო დამნაშავე გახლავართ. რამდენიმე მატჩის ზედიზედ მოგების შემდეგ კი სიამოვნების გრძნობა დამეუფლა. ამჯერად ანალიზს ვაკეთებთ, ბევრს ვმუშაობთ, რათა შედეგი გავაუმჯობესოთ. „მანჩესტერი“ ჯერ კიდევ ცუდად გამოიყურება, მაგრამ, ვიმედოვნებ, თამაშის გაუმჯობესება შეგვიძლია“, – განაცხადა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა.

პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში „მანჩესტერმა“ 20 თამაშში 37 ქულა დააგროვა, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფება და ლიდერებს „მანჩესტერ სიტის“ და ლონდონის „ჩელსის“ 9 ქულით ჩამორჩება.

ბეჟან დოლიძე

◎ ასტროლოგიური პროგნოზი

„მთელი წლის განმავლობაში იქნება სპექტაკლები ყველგან და ყველაფერში“

2015 წელს თხის წელი შემოვიდა, რომელიც არ გამოირჩევა განსაკუთრებული კორექტულობით. ეს წელი საკმაოდ კარგი იქნება კატების, თხების და ღორებისთვის. საკმაოდ რთული იქნება ზოდიაქოს სხვა ნიშნებისთვის, მაგრამ ვინც ამ დროს საქმეს გააკეთებს, მას დარჩება სერიოზული შემოსავალი. ასტროლოგი გიორგი რამიშვილი ამბობს, რომ ფერების მიხედვით ეს არის ლურჯი, ანუ მწვანე თხის წელი. ასტროლოგი for.ge-სთან საუბრისას განმარტავს, რომ ჩინური ტრადიციის მიხედვით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფერს. მისივე თქმით, არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ სინამდვილეში ფერები ძალიან მნიშვნელოვანია წელიწადის სეზონების მიხედვით და ამ შემთხვევაში თითოეულს ძალიან მკაფიო დახასიათება აქვს.

for.ge **ასტროლოგ გიორგი რამიშვილს** ესაუბრა.

— ჩინური ტრადიციის მიხედვით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფერს, მაგრამ წლების მიხედვით რამდენად პრინციპული მნიშვნელობა აქვს?

— წლების მიხედვით არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. 60 წელიწადში მხოლოდ 2 წელიწადია გამოკვეთილი, ეს არის ცეცხლოვანი ვეფხვი და ცეცხლოვანი ცხენი, განსაკუთრებით ცეცხლოვანი ცხენი. დანარჩენ შემთხვევაში, ფერის გამოკვეთას მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი, რასაც მიაწერენ ხოლმე წელიწადის ფერს და რამდენად ზუსტია, ვერ გეტყვით, ამბობენ, რომ იმ წელიწადს ეს ფერი მნიშვნელოვანი იქნება. ანუ ლურჯი და მწვანე ამ წელიწადს უნდა იყოს საკმაოდ მნიშვნელოვანი. თხის წელიწადი ყოველთვის ითვლება ზედმეტად თეატრალიზებულ და ცოტა არაკორექტული ქცევების წელიწადად. ამას ვამბობთ არა იმიტომ, რომ ვუბიძგოთ ხალხს არაკორექტულობისაკენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი არ გახდნენ სხვების არაკორექტულობის მსხვერპლნი და თავი დაიცვან პროვოკატორებისა და ვიგინდარებისგან. მთელი წლის განმავლობაში იქნება სპექტაკლები ყველგან და ყველაფერში.

— მათ შორის პოლიტიკაშიც?

— მათ შორის პოლიტიკაშიც. თუ გნებავთ, ისტორიას გადავხედოთ: 1907, 1919, 1931, 1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003 წლები სიმარტივითა და კორექტულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ არც ძალიან დიდი კატასტროფები მომხდარა ამ დროს! ჩვენთვის ყველაზე მძიმე წლები უკვე გავლილია. საქართველოსთვის გველის და ცხენის წელიწადი არის მნიშვნელოვანი სიმძიმის წლები, ზოგჯერ მაიმუნის წლებიც, ისიც მაშინ, თუ დიდი პოლიტიკის ნაწილად იქცა საქართველო. არ მგონია, რომ თხის წელიწადი რაიმე განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩეოდეს. უბრალოდ, ყველა შეეცდება ვითომ ლიდერის როლის თამაშს და სინამდვილეში, არც ერთს არ შეუძლია ლიდერობა. დრო იმაში კი არ უნდა დაკარგონ, რომ აი მე რა მაგარი ვარო, არამედ საქმე უნდა აკეთონ.

— პოლიტიკურად რამდენად სტაბილური წელი იქნება?

— რამდენადაც შევძლებთ, არ ვედაოთ გარშემო სხვებს და შიგნით საკუთარ ხალხს, მაშინ თხის არაკორექტულობა აღარ გამოვლინდება, ყველაფერი ჩვენს ხელშია. თუ თითოეულ ჩვენგანს ეცოდინება, რომ საქმე უნდა ვაკეთოთ, მაშინ არც არაფერი მოხდება, პირიქით, შესაძლებელი იქნება რაღაცა შემოსავალი შემოვიდეს თითოეულის ოჯახში. თუკი შევეცდებით, ვიღაცის მოტყუებას, იმდენად არაკორექტული ამბები მოხდება, არ გაგვიკვირდეს არც გარე აგრესია და არც ეკონომიკის ნგრევა.

— თხის წელიწადი თუ გამოირჩევა პოლიტიკური კორექტულობით და მოსალოდნელია თუ არა პოლიტიკურ ლიდერებს შორის კამათი იმაზე, ვინ იქნება პირველი და ვინ მეორე?

— პოლიტიკური კორექტულობით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ როდესაც ორი ქვეყანა ცდილობს, რომ ერთმანეთს არაკორექტულად მოექცეს, ვისაც მეტი ძალა აქვს, ის აჯობებს. შესაბამისად, უნდა შევეცადოთ, რომ არ მოვხვდეთ ამისთანა გარჩევაში. აუცილებელია სურვილი იმისა, რომ ვიშრომოთ, შეიძლება ჩვენი სახელი მეორე ადგილზე ეწეროს და პირველზე არა, მაგრამ შედეგს აუცილებლად მივაღწიოთ. დავა იმაზე, ვინ იქნება პირველი და ვინ მეორე, ეს არის თხის არაკორექტულობის ერთ-ერთი გამოვლენა, რაც ამძაფრებს ვითარებას. ამიტომ, პოლიტიკოსებმა თავი უნდა შეიკავონ გადაჭარბებული ამბიციებისაგან.

— თქვენ პოლიტიკოსები ახსენეთ, რამდენად საინტერესო იქნება პოლიტიკურად თხის წელი — 1956 წლის 18 თებერვალს დაბადებული ადამიანებისთვის? სწორედ ამ წელიწადს არის დაბადებული ბიძინა ივანიშვილი...

— საერთოდ, მაიმუნის წელიწადში დაბადებულებისთვის თხის წელი არ არის პრობლემა. ძალიან ნორმალური წელია. არ მგონია, რომ ამ წელიწადს დაბადებულ ადამიანებს რამე პრობლემა ჰქონდეთ. მათი მთავარი პლუსი არის უამრავი შესაძლო ინტელექტუალური ვარიანტების დათვლის უნარი, მას დიდი პოტენცია აქვს, რომ ბევრი კომბინაცია დაითვალოს. მაიმუნის წელიწადში დაბადებული ადამიანები ყველაზე უფრო ძლიერად მოაზროვნე ადამიანები არიან.

— საინტერესოა, რა ურთიერთობა აქვთ იგივე მაიმუნს და ძაღლს. სწორედ ძაღლის წელიწადში 1982 წელს 28 ივნისს არის დაბადებული ირაკლი ღარიბაშვილი...

— ძაღლის წელს დაბადება ნიშნავს უფრო მიდრეკილებას კორექტულობისკენ და საქმის კეთებისკენ, დიდი ტვირთის ზიდვისაკენ. ამ წელიწადს დაბადებული ადამიანები როგორც წესი, იღებენ დიდ ტვირთს, აკეთებენ საქმეს ბოლომდე, მაგრამ შეიძლება გაკეთებული საქმე სხვას მიეწეროს. ეს წელი ძაღლისთვის არის ძალიან დამღლელი, მას უნდა სტაბილურობა და კორექტულობა, ამ დროს სულ ერევა სიტუაცია და უწევს მისი დალაგება. უნდა იშრომოს, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს დიდი იმედი იმისა, რომ დაუფასდება.

— ლიდერობისკენ მიდრეკილება აქვთ ძაღლებს?

— ლიდერობისკენ მიდრეკილება ყველა წელიწადში დაბადებულ ადამიანებში მოიძებნება. მთავარი მომენტი ის არის, რომ რაღაცა იდეას მიყვებიან და ამ იდეის ერთგულებას ცდილობენ. თუ მას იდეა უკვე აქვს ნაპოვნი, ეს კარგია, მაგრამ თუ იდეას ისევ ეძებს, მაშინ ის ძალიან დაიღლება ამ წელიწადში.

— თხის წელი რას უწინასწარმეტყველებს მამალის წელს დაბადებულებს? 1969 წლის 4 სექტემბერს დაიბადა გიორგი მარგველაშვილი...

— მამლებს შრომა არ ეზარებათ, თან, როგორც წესი, პირდაპირები არიან. მე ვიტყოდი, რომ ალბათ იქნებოდა კარგი ადმინისტრატორი, კარგი დირექტორის მოადგილე და კარგი ბიზნესმენი. ეს თვისებები ნამდვილად უნდა ჰქონდეს. თუმცა, პრეზიდენტის პირადი ჰოროსკოპი არ მაქვს ნანახი.

— ლიდერობის თვისებით რომელი უფრო გამოირჩევა, ძაღლი თუ მამალი?

— მომეწონა ეს კომბინაცია. ვიმეორებ - ლიდერის პოვნა ყველა წელიწადში დაბადებულებს შორის შეიძლება. ეს წელი ორივესთვის რთული იქნება. ამ შემთხვევაში მამალს უფრო გაუმართლა, მას (პრეზიდენტს) ხომ კანონმდებლობითაც ნაკლები მოეთხოვება!

— საინტერესოა, რას უწინასწრმეტყველებენ პარლამენტის თავმჯდომარეს ვარსკვლავები, რომელიც 1968 წლის 5 მარტს დაიბადა...

— მისი წელიწადიც ხომ იგივეა, რაც ბიძინა ივანიშვილის. როგორც წესი, არ ავიწყდებათ ის კომბინაციები, რაც უკვე დაითვალეს და გაწონასწორებაც არის ხოლმე ყველაფერი ამის შედეგი.

— ქართველ პოლიტიკოსებს შორის ყველა გამოკითხვით, ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს ირაკლი ალასანია, რომელიც 1973 წლის 21 დეკემბერს არის დაბადებული. როგორი იქნება მისთვის პოლიტიკურად თხის წელი?

— ეს მისთვის ოპოზიციური წელია, ეს ვითარება, რაც დღეს მის გარშემო ხდება, არაფრით არ დაწყნარდება შემდგომ წელიწადში. ითვლება, რომ ამ წელიწადს დაბადებულებისთვის თხის წელი რთული იქნება. მნიშვნელოვანი კონფლიქტია 1982 და 1973 წლებში დაბადებულებს შორის. პატივისცემა შეუძლიათ, მაგრამ არ უხარიათ ერთმანეთის დანახვა. მაგრამ 1956 და 1968 წელს დაბადებულ ადამიანებთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა აქვთ, ანუ, მოსწონს მაიმუნის წელი და აფასებს მის მოქნილობას. ძაღლის წელში დაბადებულია დამიანი კი მისთვის პრინციპულად შეუთავსებელია საქმის კეთების მიმართულებით.

თამთა ძარჩავა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ მარინა კანდელაკს ბიცოლის

მანანა ჩხიკვიშვილი-კანდელაკის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი ლოტბარი და ფოლკლორისტი, უხუცესი ჩოხოსანი

პოლიკარპე ხუბულავა.

მეგრული სიმღერის პატრიარქად წოდებული, ქართული ფოლკლორის ბერმუხა ბატონი პოლიკარპე, 90 წლის ასაკშიც პირვანდელი შემართებით, ერთგულად ემსახურებოდა დიდ ქართულ საქმეს.

ის იყო ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება ხალხურ სიმღერასა და მის სწავლებას მიუძღვნა. მან მოახერხა, რომ თავისი ცოდნა ახალგაზრდა თაობისთვის გაეზიარებინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც.

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

ჩოხოსნების სახელით: ფრიდონ ინჯია, რეზო სულავა, მინდია სალუქვაძე, ოთარ გოგიტიძე, ბორის ბოძოლიშვილი, თამაზ ჯალაღონია, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, გურამ შენგელია, თემურ თავაძე, რომანოზ რეხვიაშვილი, თეიმურაზ ბერიშვილი, იაგო შიოლაშვილი.

◎ ინფორმაცია

ექიმები გრიპის ვირუსის გააქტიურებას ელოდებიან

მედიკოსები იანვრიდან მარტის ჩათვლით გრიპის ვირუსის გააქტიურებას ელოდებიან. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე გამოჯანმრთელებით მთავრდება, მედიკოსები მოსახლეობას მაინც სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, გართულდეს, უფრო იშვიათად კი — გამოიწვიოს ლეტალური დასასრულიც კი. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში მოსახლეობას გრიპის ვირუსისგან თავის დასაცავად გრიპის საწინააღმდეგო სეზონურ ვაქცინაციას ურჩევენ.

გარდა ამისა, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას გრიპის ფართო გავრცელებისას არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენებასაც ურჩევენ — კერძოდ, ხელების ხშირად დაბანა საპნითა და გამდინარე წყლით, საცხოვრებელი ადგილის ხშირად განიავება და სველი წესით დალაგება. დაავადების შემთხვევაში კი ექიმები დაავადებულ ადამიანებს ურჩევენ დარჩნენ სახლში, რითიც დაიცავენ საკუთარ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას — დაავადების გავრცელებისგან.

ნინოწმინდის რაიონში თოვლში მოყოლილი 200-მდე ადამიანი გამოიყვანეს

ნინოწმინდის რაიონში, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე, დიდთოვლობის და ქარბუქის გამო გზაში ჩარჩენილი ავტომობილებიდან სამართალდამცველებმა სამაშველო ჯგუფებთან ერთად დაახლოებით 200 ადამიანი გამოიყვანეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი აცხადებს, მათ შორის ბავშვები და მოხუცებიც არიან.

„გზაში ჩარჩენილი ავტომობილების და მოქალაქეების გამოსაყვანად მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებული იყვნენ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონული სამმართველოების თანამშრომლები. სამართალდამცველებმა სამაშველო ჯგუფებთან ერთად დაახლოებით 200 ადამიანი გამოიყვანეს თოვლიდან, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები და მოხუცები, რომლებიც რაიონში მცხოვრები პოლიციელების სახლებში გადაანაწილეს. ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს უფროსმა გიორგი კიკალიშვილმა წლის და სამი თვის ბავშვი მშობლებთან ერთად თოვლიდან გამოიყვანა და უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანა“, — აცხადებს გიორგობიანი.

მისივე განმარტებით, სამართალდამცველები და სამაშველო ჯგუფები ამ დრომდე აგრძელებენ სამუშაოებს.

ჩამოართვეს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ- საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში მცხოვრები,1990 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ონისე ო. ცეცხლსასროლი იარღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში დააკავეს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულს ავტომანქანის ჩხრეკისას ავსტრიული წარმოების „გლოკ-17“-ის მოდელის პისტოლეტი, 1 მჭიდი და 2 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

დღესასწაულთა დღესასწაული

7 იანვარს მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას.

...როდესაც ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის აღთქმის დარღვევის გზით სამოთხიდან განიდევნენ, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმოწყალებით, დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო. ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა“.

პატრიარქმა იაკობმა იწინასწარმეტყველა, რომ იუდას ტომი სკიპტრას დაკარგავდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა გვაუწყა, რომ ქრისტეს მეუფება დადგება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სამეფო მყარი, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დააქცევს და დაარღვევს და რომ ქვეყნიერების მხსნელი იერუსალიმის აღდგენის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან სამოცდაათი შვიდეულის შემდეგ მოევლინება.

...რომმა თავისი რკინის სკიპტრა იმ დროისთვის არსებულ თითქმის ყველა ქვეყანას გადაეწვდინა და ერთ იმპერიად გაერთიანა; პალესტინა რომის პროვინცია გახდა.

...ამ დროისთვის გამოვიდა ავგუსტუს კეისრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც მის მიწაზე და მათ შორის იუდეაშიც ხალხის აღწერა უნდა ჩატარებულიყო. ამ ბრძანების ძალით ყველა ისრაელიანი თავისი მშობლიური ქალაქისკენ ისწრაფოდა, რათა სახელმწიფო აღწერაში მოხვედრილიყო. საოცარია ღვთაებრივი განგებულების საქმე! თავისი ამქვეყნიური დიდებით გაამაყებული კეისარი უფლის ნების ბრმა იარაღად გვევლინება, ღვთის განზრახვას ემსახურება.

ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს ბეთლემისკენ. ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა. ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებლად ადგილი ვერ იპოვეს... ბეთლემიდან ჩრდილოეთით კლდეებს შორის გამოქვაბულში წმინდა მგზავრებმა შეაფარეს თავი. აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება: „აი, ვინ დაივანებს მაღალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიაწვინა იგი ბაგასა“. როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა... ბაგაში მიაწვინა და პირველმა მან სცა თაყვანი. ასევე მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმინდა დედასა და მის ძეს – ჩვენს ღმერთს.

სრულიად საქართველოს ვულოცავთ იმ წმინდა ღამეს მომხდარ სასწაულს – ქრისტეს შობას.

გიული ლიპარტია

ორი მიძღვნა

ქრისტესშობიდან ნათლისღებამდე

მანიჭებს შვებას, ქრისტესშობა
მანიჭებს შვებას,
რადგან ღვთის ნებით მე ხმამაღლა
ვამბობ ჩემს ნებას,
რომ უწმინდესს და უნეტარესს შევკადრო ქება,
ქებათა ქება!

მისი ლოცვებით ცოდვილ სულში
ყინული ლღვება,
რომ განწმენდილი შევუერთდე მეც
ნათლისღებას,
ამქვეყნიური უმძიმესი ტვირთის გარეშე
და ღვთიურ მადლით განბანილი იორდანეში!

ნაბეჭრა

ურწმუნოების ჭავლით
თავს რომ დაგვატყდა რისხვა,
ჩამოგდებული ჯვარი
ვინც დაუბრუნა ღვთის სახლს,
მან აღამაღლა ისევ
ჩამოქცეული ბჭენი
და სულს სიწმინდით გვივსებს
ბრძენი და ენამჭევრი.
ის სავლეს აქცევს პავლედ,
მჯერა, ნამდვილად მჯერა,
მზერას რომ შემოავლებს
ცოდვის შვილს, სადაც ჯერ არს!
ჰოდა, შევთხოვოთ უფალს,
სულით ქართველი ვინც ხართ,
ცა რომ არ მოგვექუფროს,
მწყემსი გვიცოცხლოს დიდხანს.
არიდოს მტერთა ისრებს,
მისცეს ღონე და ჯანი
და აღგვიდგინოს ისევ
ქრისტეს საფლავთან „ჯვარი“!

ალექსანდრე შენგელია

საახალწლო კერძარილების უცდომები

საახალწლო სუფრა მარტო „კუჭის დღესასწაული“ რომ არ არის, ეს ბევრს ხშირად ავიწყდება. განა ღირს მთელი ღამის მანძილზე ყველაფრის მიყოლებით ჭამა, მერე კი კუჭის ტკივილით თავის შეწუხება?

ახალი წლის ვახშამს ყველა დიასახლისი განსაკუთრებული გულმოდგინებით ამზადებს და ახლობლების თავის საუკეთესო კერძებით გახარებას ცდილობს. ბუნებრივია, სტუმრები ხალისით იწყებენ ყველაფრის დაგემოვნებას, რის შედეგად თეფშები ნაირ-ნაირი საჭმელებით ივსება, კუჭებში კი ნამდვილი „ვინეგრეტი“ კეთდება. ასეთ ვითარებაში ორგანიზმი ყველაფრის მონელებას უბრალოდ ვერ ახერხებს, რის შედეგად დუღილისა და ლპობის დისპეფსია იწყება, რაც გულისრევით, ძმარვით, მუცლის გაბერვით, ხშირად დიარეით გამოიხატება.

აქედან გამომდინარე, „ყველაფრის, მაგრამ ცოტ-ცოტა ჭამის“ მეთოდი საკმაოდ მზაკვრული რამაა, რადგან საჭმლის „მოზომვის“ შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ამიტომ **დიეტოლოგები გვირჩევენ, რომ ყველაფრის დაგემოვნებას მოვერიდოთ.**

დიასახლისებს კი, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ნაირ-ნაირ საჭმელებს ამზადებენ და ამ ხნის მანძილზე სრულფასოვნად კი არ ჭამენ, ცოტ-ცოტას იციცქნებიან, მაინც ნორმალურად კვებას ურჩევენ, რისთვისაც საჭირო დრო აუცილებლად უნდა გამონახონ.

ასევე სუფრასთან აუდგომლად ჯდომაა ორგანიზმისთვის ძალიან მავნე, რაც მარტო ახალი წლის ვახშმის კი არა, არამედ მთელი მომდევნო დღეების პრობლემაა: სუფრას რომ მივუჯდებით, მერე ხშირად ფეხს არ მოვიცვლით ხოლმე, ვიდრე დაშლის დრო არ მოვა. ამას კი ის შედეგი აქვს, რომ კუჭ-ნაწლავის სისტემა საჭმლის მოსანელებლად საჭირო ფერმენტების გამომუშავებას ვერ ასწრებს. ამიტომაც, **დიეტოლოგები დროდადრო სუფრიდან ადგომის, ცეკვის, გნებავთ, უბრალოდ, გავლა-გამოვლის, ვთქვათ, დიასახლისისთვის ხელის შეშველების რეკომენდაციას გვაძლევენ.** ამ დროში სისხლში შაქრის შემცველობა იზრდება, მადა კი იკლებს.

იმის გამო, რომ ახალი წელი ღამის დღესასწაულია, უმრავლესობა საზეიმო სუფრას შუაღამის მოახლოებისას იწყებს, რაც საჭმლის მონელების სისტემისთვის ნამდვილად არახელსაყრელია, რადგან ამ დროს კუჭ-ნაწლავის სისტემის ყველა ორგანო ისვენებს. ამიტომ **უმჯობესია, საღამოს 6-7 საათზე მსუბუქად დანაყრება ადვილად მოსანელებელი სალათებით, ხილით, ნამცხვრების დაგემოვნება კი 1 იანვრის დილით ჯობს.**

ხშირია შემთხვევები, როცა წლის ბოლო სამუშაო დღეს თანამშრომლები იკრიბებიან და ძველ წელს შამპანურით აცილებენ, რა დროსაც მისაყოლებელი უმეტესად კანფეტია ხოლმე. არადა, შამპანური ნახშირმჟავა გაზს შეიცავს, რომელიც საჭმლის მომნელებელი სისტემის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, ვნებს ცარიელ კუჭს და, შედეგად, ეზოფაგიტისა და გასტრიტის მიზეზი ხდება. თანაც მშიერ კუჭზე ალკოჰოლის მოქმედება გაცილებით ძლიერია.

ამდენად, **დიეტოლოგები ცარიელ კუჭზე არც ალკოჰოლის, ან გაზიანი სასმელების მიღებას არ გვირჩევენ.** ხოლო, თუ მაინცდამაინც დალევა გიწევთ, სადილი კი გათვალისწინებული არ არის, მაშინ კანფეტზე რაღაც უფრო „შინაარსიანის“ ჭამა უნდა მოახერხოთ. საქმე ისაა, რომ ასეთი საკვები ალკოჰოლის გამნეიტრალებელ ეფექტს იწვევს და მის შეწოვას ამცირებს.

ჩვეულებრივ, საახალწლოდ იმდენ სხვადასხვა სალათს ამზადებენ, რომ საზეიმო სუფრასთან მათი მთელი ოდენობის შეჭმა, უბრალოდ შეუძლებელია. ამიტომაც ხშირად, ვთქვათ, ოლივიე მაცივარში საცივთან, მწვადთან, თევზეულთან ერთად ინახება. მაგრამ, **უნდა გვახსოვდეს, რომ თერმულად დამზადებული საჭმლის მაცივარში ორ დღეზე მეტი ხნის მანძილზე შენახვა არ შეიძლება. მაიონეზი ანდა მცენარეული ზეთით შეკმაზული სალათები დამზადების დღის განმავლობაში უნდა იყოს შეჭმული, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება საკვებით მოწამვლის საფრთხე.**

ამიტომაც, მაინცდამაინც ბევრ საჭმელს ერთბაშად ნუ მოამზადებთ, დარჩენილი საკვები კი ემალის ან მინის ჭურჭელში მოათავსეთ და ხუფი დააფარეთ, ანდა ფოლგა შემოახვიეთ.

ნინო ალექსანდრია

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ჰარასკევს, 9 იანვარს

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– **შვილო,** – ეუბნება მარო მიხოს, – ორშაბათიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. მე გახდომაზე ფიქრს მივატოვებ, მამაშენი მოწევას მიატოვებს, შენ რას იზამ?

– მე სკოლაში სწავლას მივატოვებ...

* * *

– **შენი** ქმარი ბევრს ეწევა? – ეკითხება დაშა დაქალს.

– არა, მხოლოდ გემრიელი სადილის შემდეგ თუ გააბოლებს ხოლმე.

– მაშინ, რა თქმა უნდა, წელიწადში ორი-სამი ღერი სიგარეტი არაფერს არ ავნებს.

* * *

– **ჩემო** კარგო, ან მოწევას მიატოვებთ, ანაც დაბრმავდებით! – კატეგორიული ტონით ეუბნება ექიმი პაციენტს.

– იცით რა, ექიმო, მე უკვე საკმაოდ ხანდაზმული ვარ და რაც სანახავი იყო, თითქმის ყველაფერი ვნახე...

* * *

– **თუ** მამაკაცი ამტკიცებს, რომ სახლში ის არის უფროსი, ესე იგი, მას ცოლი არა ჰყავს.

– ცოლი კი არა, მას უბრალოდ კატაც არა ჰყავს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24